შირაქი

SHIRAKI

www. opentext. ge

გამოდის 1937 წლიდან

№7 (9.572)

1-8 მარტი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

დანიშნულება და საღმრთო ვალი

დედებო, მინდა კვირტში ჩასახული გაზაფხული მოგილოცოთ. მალე დათბება. გათბება შენი კერის ფუძეც.

აფერუმ შენს ქალობას! რა გასაჭირი გადაიტანე. მომავალშიც შენი მხნეობის იმედი გვაქვს. ყველაფერი ალბათ ნელ-ნელა მოგვარდება.

მატერიალურზე ვამბობ.

მთავარი წინაა-სულიერების გადარჩენაზე მოგახსენებ.

შვილების სულიერების გადარჩენაზე შენ უნდა იზრუნო. ფიზიზლად იყავი, ბევრი მღვრიე ნაკადი წამოვიდა მათი სულების ასაძღვრევად...

იმ მღვრიე ნაკადს შენი ბიბლია შეაგებე ფარად! ათი მცნებით გაუნათე სული!

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ილიას და აკაკის, ვაჟას ნაწარმოებები წააკითხე შვილებს, საქართველოს ისტორია შეაყვარე, დიდგორზე და კრწანისზე უამბე...

ეს შენი ვალია, საღმრთო ვალი.

“მხოლოდ ნამდვილად კარგ ქალს შეუძლია, ჩაიდინოს ნამდვილი სისულელე,” - წერდა ოსკარ უაილდი. ძნელი სათქმელია, იტყოდა თუ არა იგივეს მწერალი ქართველი ქალების მიმართაც, რადგან თამარ მეფისა და ქეთევან დედოფლის იდეალებზე გაზრდილ ქართველ მანდილოსნებს დრო ყოველთვის ყველაფრისთვის ჰქონდათ, გარდა სისულელის ჩადენისა და ქალური სისუსტის გამოვლინებისთვის.

საქართველოს ქარ-ცეცხლით სავსე ისტორიაში ქართველ ქალს ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. იგი ხშირად ყოფილა გმირობისა და თავდადების მაგალითი. მაია წყნეთელი, ცხრა ძმა ხერხეულიძის დედა თუ ოთარაანთ ქვრივი დიდსულოვნებისა და გმირული შემართების სიმბოლოები იყვნენ. მათი თავგანწირვა და სულიერი სიძლიერით ნებისმიერი დაბრკოლების გადალახვა ყოველ ქართველ ქალს თითქოს ავალდებულებდა, ყოფილიყო მათი ღირსეული მემკვიდრე. ქართველ ერს არანაკლები სიძლიერის ერთი მითიური, მაგრამ მაინც ქართველი ქალი ყავს, რომელიც აგრეთვე რთული არჩევანის წინაშე იდგა და განსხვავებით ზემოთჩამოთვლილი მანდილოსნებისაგან, უდიდესი მსხვერპლი მამაკაცისადმი სიყვარულისათვის გაიღო - დათმო ოჯახიცა და სამშობლოც. მედეას საქციელი ალბათ ნებისმიერი ევროპელი ქალისთვის მართლაც გმირობისა და ქალური სულის გამოძახილი იქნებოდა, მაგრამ არა ქართველისთვის. მედეა ჩვენში დღესაც იწვევს გაორებულ გრძნობას. იდეალურობისაკენ მსწრაფი ქართველისთვის მსგავსი სისუსტე - გრძნობას აყოლა - მიუღებელია. ქართული სიძლიერე სულ სხვა რამეში და არა სენტიმენტებში გამოიხატება, სწორედ ამიტომ მტრისა და სტუმრის წინაშე ერთნაირი შეუდრეკელი სახით მდგომ “ქართლის დედას” ხელში ხანჯალი და ფიალა უნდა ჭეროდა, რომ ქალს ყოველთვის ხსომებოდა მისი ვალის შესახებ ოჯახისა და მამულის წინაშე. მას ეს არასდროს დავიწყებია და უნდა ვაღიაროთ, ზედმეტად ჰქონდა განვითარებული სისპეტაკის მოთხოვნა საკუთარი თავის მიმართ. უფრო მეტიც, მას შეეძლო საკუთარი სიძლიერის სისუსტით შენიღბვით მამაკაცის კულტი დაეყენებინა ოჯახსა და საზოგადოებაში.

მაშინ, როდესაც ასაკოვანი ევროპისა და ახალგაზრდა ამერიკის ცხოვრების ლაბირინთებში ფემინისტური სიო იპარებოდა, ქართველი ქალი ვალდებულებებითა და საუკუნეების წინ შეძენილი ინსტიქტებით ცხოვრობდა, იდეალური მეუღლეობის, დიასახლისობისა და დედობის სამსახურში, რაც ნამდვილად რთულია. მას დაავიწყდა ქალური ჭირვეულობა და საკუთარი მე-ს მოთხოვნილებები. საბჭოური ეპოქის ნგრევასა და დამოუკიდებლობის ჰაერის ჩასუნთქვას საქართველოსთვის უმტკივნეულოდ ნამდვილად არ ჩაუვლია. ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ ფინანსურად უზრუნველ ცხოვრებას მიჩვეული ქართველი ქალი იძულებული შეიქნა, ახალ რეალობას შეგუებოდა და დღემდე მისთვის უცნობი - მარჩენალის - ამპლუაც მოერგო. თუ დასავლეთში ემანსიპირებული ქალისა და ფემინისტის მცნების გაჩენა საკუთარი ინტერესების დამცველი, და არა მამაკაცის ძლიერ ბეჭებზე დაყრდნობილი ქალების, საზოგადოებაში განსაკუთრებული ადგილის მოპოვებისათვის ბრძოლის დამსახურება იყო, საქართველოში იგი უტრირებული სახით ლათინური ამერიკის წარმოების საპნის ოპერებმა შემოიტანა. ყოვლისმომთმენი და მიმტევებელი ქართველი ქალი ახალი რეალობის წინაშე დადგა, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა დამკვიდრებული ცხოვრების წესისაგან. თითქოს მან, როგორც იმ არაკორექტულ რეკლამაშია, უცებ გაიგო, რომ იგი ქალია და არა ჭურჭლის მრეცხავი მანქანა. და მოხდა ის, რასაც ფსიქოლოგები ალბათ “ინდივიდის აჯანყებას” ეძახიან. 21-ე საუკუნის დასაწყისში ქართველ ქალზეც გამართლდა უაილდის მიერ მე-19 საუკუნეში ნათქვამი: “ნებისმიერი ქალი ნატურით მეამბოხეა, ამასთან იგი მხოლოდ თავის თავს ეამბოხება”. რა თქმა უნდა, საქართველოში ფემინისტების გაჩენა გლობალიზაციის, მოპოვებული ფინანსური თავისუფლებისა და საზოგადოებაში გარკვეული ადგილის დამკვიდრების დამსახურებაა და არა სერიალების, როგორც ეს შეიძლება ზემოთ ნათქვამიდან დაასკვნათ. “გვიან გამოფხიზლებული” მაქსიმალური იდეალობისაკენ მსწრაფი ქართველი ქალი თითქოს დაკარგული დროის ანაზღაურებას ცდილობს და გაცილებით უფრო ფემინისტური აზროვნებისაა, ვიდრე ჟორჟ სანდისა და სიმონა დე ბოვარის ევროპელი შთამომავლები. თითქმის არც ერთი ქართველი წარმატებული ქმარსგაცილებული მანდილოსანი არ აღიარებს, რომ ოჯახის დანგრევა მტკივნეული იყო, მაშინ როდესაც მათი ევროპელი თუ რუსი კოლეგები ბევრს ილაპარაკებენ პოსტგაცილების დეპრესიასა და კარგი ფსიქოლოგის ძიებაში უამრავი დახარჯული თანხის შესახებ. ნუთუ ქართველ ქალს სიამაყე არ აძლევს სისუსტის გამოვლენის საშუალებას? ან იქნებ ძლიერი მანდილოსნისთვის, რომლის შესაძლებლობაც აშკარად აღემატება სამზარეულოში მოფუსფუსე მზრუნველი მეუღლის ვალდებულებებს, ხოლო ინტერესების სფერო გაცილებით გასცდა განჯინაში “კობალტისა” და “მადონას” სერვიზების გამოდებაზე ფიქრს, ქართველი ქმარი თავისი წარმოდგენებით კაცის პოლიგამიურ სიყვარულსა და უპირატესობებზე, მართლაც ზედმეტი თავის ტკივილია და მისი მოშორება ისეთივე სასურველია, როგორც ხორცმეტის? შესაძლოა, ეს ვინმეს ცოტა უხერხულად მოეჩვენოს, მაგრამ, ფაქტია, დრო ს თავისი კანონზომიერება აქვს.

მე-20 და 21-ე საუკუნის ქართველი ქალი ორი სხვადასხვა მცნებაა: მან ისწავლა საკუთარი პიროვნების ინტერესების დაცვა, მაშინ როდესაც მამაკაცი ისევ

ახლა მთავარია, ამინდმა შეგვიწყოს ხელი

გვ. 3

ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით

გვ. 4

„ქველმოქმედება კეთილშობილ კაცთა წესია“...

გვ. 6

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

ივანიშვილი მზადაა, სააკაშვილს ორშაბათს შეხვდეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მზად არის საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ორშაბათს, 4 მარტს შეხვდეს.

ამის შესახებ ივანიშვილის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

"დღეს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ მიხეილ სააკაშვილი ბიძინა ივანიშვილს ორშაბათს, დილის საათებში შეხვედრას სთავაზობს. საქართველოს პრემიერ—მინისტრი კვლავაც გამოთქვამს თანხმობას და მზად არის შეხვდეს პრეზიდენტს", - ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს პრემიერ—მინისტრი ევროპის სახალხო პარტიის დელეგაციას შეხვდა

ბიძინა ივანიშვილი ევროპის სახალხო პარტიის საგარეო ურთიერთობათა სამუშაო ჯგუფს შეხვდა, რომელსაც ფრანკო ფრანტინი ხელმძღვანელობს.

ოფიციალური ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები განიხილეს. საუბარი ასევე შეეხო მოსალოდნელ საკონსტიტუციო ცვლილებებს. სტუმრებმა პირადად პრემიერ—მინისტრისგან მიიღეს პასუხები ყველა მნიშვნელოვან კითხვაზე. შეხვედრა დაგეგმილზე დიდხანს გაგრძელდა და ის თბილ, მეგობრულ ვითარებაში წარიმართა. ევროპელმა დიპლომატებმა ახალ ხელისუფლებასთან სამომავლო თანამშრომლობის მზადყოფნა გამოთქვეს.

საქართველოს ნატოში ინტეგრაციის სახელმწიფო კომისიამ 2013 წლის წლიური ეროვნული პროგრამა დაამტკიცა

დღეს მთავრობის კანცელარიაში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრ ალექსი პეტრიაშვილის თავმჯდომარეობით საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის სახელმწიფო კომისიის სხდომა გაიმართა. სხდომაზე 2013 წლის წლიური ეროვნული პროგრამის დოკუმენტი დამტკიცდა, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელმოწერის შემდეგ ნატოს გენერალურ მდივანს გადაეგზავნება.

როგორც ვროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში აცხადებენ, დოკუმენტი პოლიტიკურ, ეკონომიკურ, თავდაცვისა და უსაფრთხოების, სამართლებრივ, განათლებისა და სხვა სფეროებში რეფორმების გეგმებს მოიცავს და უწყებათაშორისი რამდენიმეთვიანი კოორდინირებული მუშაობის შედეგია.

სახელმწიფო მინისტრმა მადლობა გადაუხადა წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) განხორციელების პროცესში ჩართული ყველა სახელმწიფო უწყების წარმომადგენელს.

რამდენიმე დღის წინ ბრიუსელში წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) განხორციელების პროცესში ჩართული უწყებების წარმომადგენლებისაგან შემდგარი დელეგაცია იმყოფებოდა, სადაც ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე 2013 წლის წლიური ეროვნული პროგრამის პროექტი პოლიტიკური კომიტეტის დონეზე განიხილეს. ნატოელმა პარტნიორებმა ქართულ მხარეს მადლობა გადაუხადეს დოკუმენტის სრულყოფილად მომზადებისათვის.

წლიური ეროვნული პროგრამა (ANP), ნატო-საქართველოს კომისიასთან ერთად ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს ინტეგრაციის მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს. 2009-2010-201-2012 წლების წლიური ეროვნული პროგრამები ნატოს მიერ დადებითად იქნა შეფასებული. 2013 წლის პროგრამა რიგით მეხუთე დოკუმენტია.

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა ამოქმედდა

28 თებერვლიდან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა ამოქმედდა. პროგრამა გეგმიურ ამბოლატორიულ, გადაუდებელ ამბულატორიულ და გადაუდებელ სტაციონარულ მკურნალობას ითვალისწინებს. სადაზღვევო პაკეტით სარგებლობა 6-დან 60 წლამდე იმ პირებს შეუძლიათ, ვისაც აქამდე არანაირი სახის დაზღვევა არ ჰქონია.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, გეგმიური ამბულატორიული მომსახურება გულისხმობს 2 ძირითად ბლოკს: 1). ოჯახის ან უბნის ექიმის და ექთნის მომსახურებას, (მოიცავს ეროვნული კალენდრით გათვალისწინებულ პროფილაქტიკურ აცრებს. სამედიცინო საჭიროებიდან გამომდინარე: დაავადებათა მართვას და რეფერალს; ლაბორატორიულ გამოკვლევებს ექსპრეს დიაგნოსტიკური მეთოდით (შარდის ანალიზი, გლუკოზა პერიფერიულ სისხლში); ელექტროკარდიოგრაფიას; სამედიცინო ცნობებისა და რეცეპტების გაცემას (არ მოიცავს სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებულ, ავტომობილის მართვის ან იარაღის შეძენის ნებართვის მისაღებად წარსადგენ ცნობებს); ბინაზე ვიზიტს. 2) ექიმის დანიშნულებით კლინიკურ - ლაბორატორიულ გამოკვლევებს: სისხლის საერთო ანალიზს; შარდის საერთო ანალიზს.

გადაუდებელი ამბულატორია მოიცავს ისეთი გადაუდებელი მდგომარეობების მართვასა და სტაბილიზაციას, რომელიც არ საჭიროებს სტაციონარში 24–საათიან დაყოვნებას. მდგომარეობა, რომლის გადაუდებელ ამბულატორიულ მართვას დაფარავს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, მოიცავს: ტრავმებს, მოტეხილობებს, ჭრილობებს, თერმულ დაზიანებებს (დამწვრობა/მოყინვას), მოწამვლა/ინტოქსიკაციას, ცხვირიდან სისხლდენას, ალერგიის მართვას ანაფილაქსიური შოკის განვითარების რისკის დროს, შარდის შეკავებას, მწვავე ლარინგიტს (კრუპს), გულსისხლძარღვთა დაავადებებს (ჰიპერტონულ კრიზს, გულის რითმის დარღვევებს) და სხვადასხვა სახის მწვავე ტკივილს.

პროგრამა ითვალისწინებს ისეთი მდგომარეობების დაფინანსებას, როდესაც დაუყოვნებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის გარეშე, მოსალოდნელია ორგანოს ან/და კიდურის დაკარგვა ან პაციენტის გარდაცვალება რამდენიმე საათში. განსაზღვრულია 450–ზე მეტი მდგომარეობა, რომელთა შემთხვევაშიც პროგრამა ითვალისწინებს გადაუდებელი ქირურგიული და თერაპიული დახმარების განევას. პროგრამა ასევე მოიცავს ინტენსიურ თერაპიასა და კრიტიკული მდგომარეობების მართვას.

გადაუდებელი სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობის მისაღებად მოქალაქის (მოსარგებლის) მიერ რაიმე სახის წინასწარი რეგისტრაცია საჭირო არ არის. შესაბამის რეგისტრაციას შეტყობინების სახით აკეთებს სამედიცინო დაწესებულება, სადაც მოხვდება პაციენტი.

გადაუდებელი სტაციონარული მომსახურებისათვის, დაწესებულია მაქსიმალური ლიმიტი, ერთ შემთხვევაზე 15 000 ლარის ოდენობით. სხვა შემთხვევაში, მომსახურება ფინანსდება სრულად და არ ითვალისწინებს თანაგადახდას პაციენტის მხრიდან.

მოქალაქეს არჩეული სამედიცინო დაწესებულების შეცვლა შეუძლია ყოველ ორ თვეში ერთხელ. მას შეუძლია თავად აირჩიოს პროგრამაში მონაწილე პირველადი ჯანდაცვის დაწესებულება.

პროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის, პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები. პროგრამით ვერ ისარგებლებენ სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამებით მოსარგებლეები, 2013 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით კერძო სადაზღვევო სქემებში ჩართული პირები და მსჯავრდებულები.

ნავთობის მოპოვებისას დედოფლისწყაროში გასულ წელს გარემოს დაბინძურების ფაქტები არ დაფიქსირებულა

ნავთობკომპანია „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიამ", რომელიც დედოფლისწყაროში ნავთობმოპოვებით სამუშაოებს აწარმოებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრა გამართა.

როგორც „ფრონტერას" ჯანმრთელობის, გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების მენეჯერმა მაკა ბურჯანაძემ "შირაქს"აცნობა, კომპანიამ არასამთავრობო ორგანიზაციებს 2012 წლის განმავლობაში მუშაობის დროს უსაფრთხოების ნორმების და გარემოს დაბინძურების საკითხებზე ანგარიში ჩააბარა.

ბურჯანაძე განმარტავს, რომ დედოფლისწყაროში გასულ წელს ნავთობის მოპოვებისას გარემოს დაბინძურების არცერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა.

„ასეთი შეხვედრები წელიწადში ორჯერ ტარდება. 2012 წელს არ გვქონია არცერთი დარეგისტრირებული ზიანი. კომპანიამ 2 მილიონ სამუშაო საათს ზიანის გარეშე მიაღწია, რაც დიდი წარმატებაა. წლიური ანგარიშიც მალე გამოქვეყნდება," — აღნიშნავს მაკა ბურჯანაძე.

ილია მარტყოფლიშვილი

ჟურნალისტებისათვის მედია სემინარი გამართა

თელავის იუსტიციის სახლში აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენლებმა კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონში მოქმედი ჟურნალისტებისათვის მედია სემინარი გამართეს. სემინარი "დაძმობილების პროექტი სააღსრულებო სისტემის გაუმჯობესებისთვის" ევროკავშირის მხარდაჭერის ფარგლებში ჩატარდა და აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძემ გახსნა. სემინარს დედოფლისწყაროდან ქიზიყი.გე-სა და გაზეთ „შირაქის" წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

სემინარის მიზანი იყო ქართული მედიისთვის სააღსრულებო სისტემის, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ საზოგადოებისთვის შეთავაზებული სერვისებისა და ყველა იმ სიახლის გაცნობა, რომელიც ბიუროში უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელდა.

საინფორმაციო შეხვედრაში შვედეთის საერთაშორისო განვითარების საგენტოს პროექტ SIDA-ს გრძელვადიანი ექსპერტი პატრიკ ბერგლუნდი და მრჩეველი თომას შმიდტიც მონაწილეობდნენ. მათ პროექტების პრეზენტაცია წარმოადგინეს და მზადყოფნა გამოთქვეს, ქართულ მხარეს უკეთესი შედეგების მიღწევაში თანადგომა გამოუცხადონ და საკუთარი გამოცდილება გაუზიარონ.

მედია-სემინარის მსვლელობის დროს დამსწრე ჟურნალისტებს საშუალება მიეცათ მათთვის საინტერესო თემაზე დაესვათ შეკითხვები და მიეღოთ ამომწურავი ინფორმაცია აღსრულების ეროვნული ბიუროს, სააღსრულებლო პროცესისა და ბიუროს მიერ მოსახლეობისთვის შეთავაზებული ახალი სერვისების შესახებ.

ფაქტების კონსტატაციის კოორდინატორმა დიმიტრი გუგუნავამ ახალი სერვისის პრეზენტაცია მოახდინა. აღინიშნა, რომ დაინერგა ე.წ. „ფაქტების კონსტატაცია" რაც სასამართლო დავებს ბევრად გაამარტივებს. მისი თქმით, ე.წ. „ფაქტების კონსტატაციის" გამოყენება მოქალაქეებს ექსპერტიზის ჩატარებისგან განსხვავებით სასამართლო პროცესების ხანგრძლივობის შემცირებას გამოიწვევს მტკიცების სტადიის ხარჯზე. ეს სერვისი გულისხმობს დროში განეული ექსპერტიზის დასკვნის ნაცვლად სასამართლო პროცესებისთვის დროულად დაიდოს ოქმი, რომელიც ზედმეტ დროს არ მოითხოვს და მოსამართლეს პროცესის დროულად გაგრძელების საშუალებას მისცემს.

როგორც აღსრულების ეროვნული ბიუროს მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ბესიკ ლილუაშვილმა გვითხრა, ბიურო მედიასთან აქტიურ თანამშრომლობას გეგმავს, მათი თხოვნაც რეგიონული ჟურნალისტების მიმართ იყო, რომ მედიასაშუალებებმა მომავალშიც აქტიური თანამშრომლობა განაგრძონ სხვადასხვა საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით, რაც მოსახლეობის დროულად ინფორმირებას შეუწყობს ხელს.

შეხვედრის დასასრულს, აღსრულების ეროვნული ბიუროს ადმინისტრაციის უფროსმა პაპუნა პაპიაშვილმა „შირაქს" განუცხადა, რომ შეხვედრით კმაყოფილია. - მოხარულები ვართ, რომ ქართული მედიასაშუალებების მნიშვნელოვან წარმომადგენლებთან, კახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში მოქმედ ჟურნალისტებთან შეხვედრის საშუალება მოგვეცა. ვფიქრობთ, რომ ორმხრივად სასარგებლო შეხვედრა იყო, რადგან ჟურნალისტები უკეთესად ინფორმირებული იქნებიან და ჩვენთვისაც, რადგან მომავალში მათი მხრიდან ამ საკითხების გაშუქებისას ხარვეზები და არასწორი ინტერპრეტირება არ იქნება. უნდა ითქვას, რომ საკმაო დაინტერესება წამოვიდა ჟურნალისტების მხრიდანაც. აქტიურად ჩაერთვნენ დისკუსიაში და ამ მხრივ ძალზე კმაყოფილი ვარ. გვაქვს სურვილი, მჭიდრო ურთიერთობა მომავალშიც შევინარჩუნოთ," — აღნიშნა პაპუნა პაპიაშვილმა.

ილია მარტყოფლიშვილი

მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგება

ოპოზიციის ხმამაღალი განცხადებების ფონზე, რომელიც ახალ მთავრობას ხალხზე ზრუნვისკენ მოუწოდებს, წარმატებით მიმდინარეობს რამდენიმე სოციალური პროგრამა. 1 მარტიდან ძალაში შევიდა ჯანდაცვის სისტემაში საყოველთაო დაზღვევის პირველი ეტაპი. ორ კვირაზე მეტია, პრაქტიკული საქმიანობა დაიწყო სოფლის მეურნეობის მილიარდიანი ფონდის საგაზაფხულო პროგრამამ. შიდა და ქვემო ქართლში თითქმის დამთავრდა სასოფლო-სამეურნეო ბარათების საფუძველზე მოხვნის და დადისკვა-გაფხვიერების სამუშაოები. პროცესმა კახეთში გადმოინაცვლა. 23 თებერვალს მთელი რაიონის მასშტაბით დაიწო და მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგება.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, გლეხები და ფერმერები, რომლებსაც საკუთრებაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქვთ 5 ჰექტრის ჩათვლით ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, მიიღებენ ორი კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო ბარათს – კომბინირებულს და ნომინალურს. კომბინირებული ბამოსილია, სასოფლო-სამეურნეო ბარათი გადასცეს თავის წარმომადგენელს. მოსარგებლემ ხელმოწერით უნდა დაადასტუროს ბარათის გადაცემა, რაც სპეციალური ბეჭდით და ხელმოწერით უნდა დაადასტუროს სოფლის რწმუნებულმა. დღეისთვის თითქმის დასასრულს უახლოვდება კომბინირებული ბარათების დარიგება. იმ შემთხვევაში, თუ მოსარგებლეს თავისი სახსრებით უკვე

ახლა მთავარია, ამინდმა შეგვიწყოს ხელი

* კომბინირებული სასოფლო-სამეურნეო ბარათით მოსარგებლე უფლებამოსილია, შეიძინოს ნიადაგის ხვნის, ხნულის დადისკვა-გაფხვიერების სამუშაოები სამუშაოს შემსრულებლებისაგან, ასევე სასოფლო-სამეურნეო საქონელი და ინვენტარი მომწოდებლებისაგან 2013 წლის 1 აგვისტომდე.

* დაუშვებელია ბარათის განაღდება, გასხვისება ან გაჩუქება.

*არასწორად შევსებული ბარათი ითვლება ძალადაკარგულად.

*ბარათის არაკეთილსინდისიერი გამოყენება ან გაყალბება ისჯება კანონით.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ცხელ ხაზზე (032) 2 47 01 01.

სასოფლო-სამეურნეო ბარათით შესაძლებელია ნაკვეთის ხვნის და ხნულის დადისკვა-გაფხვიერების სამუშაოების შესრულება, ხოლო ნომინალურით შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლის და ინვენტარის შეძენა. ბარათების დარიგება მოხდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე დარიგდება ნომინალური ბარათები, ხოლო მეორე ეტაპზე - კომბინირებული. ბარათების დარიგებას აწარმოებენ სოფლის რწმუნებულები. იმ შემთხვევაში, თუ მოსარგებლე არის უნარშეზღუდული და მას არ შეუძლია პირადად შეიძინოს საქონელი და ინვენტარი, ან ჩაატაროს ნიადაგის ხვნის და დადისკვა-გაფხვიერების სამუშაოები, იგი უფლებამოსილია, შეიძინოს ნიადაგის ხვნის, ხნულის დადისკვა-გაფხვიერების სამუშაოები სამუშაოს შემსრულებლებისაგან, ასევე სასოფლო-სამეურნეო საქონელი და ინვენტარი მომწოდებლებისაგან 2013 წლის 1 აგვისტომდე.

* დაუშვებელია ბარათის განაღდება, გასხვისება ან გაჩუქება.

*არასწორად შევსებული ბარათი ითვლება ძალადაკარგულად.

*ბარათის არაკეთილსინდისიერი გამოყენება ან გაყალბება ისჯება კანონით.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ცხელ ხაზზე (032) 2 47 01 01.

მოხნული და დამუშავებული აქვს ნაკვეთები, შეუძლია, უკან დააბრუნოს კომბინირებული ბარათი, რაც შესაბამისად უნდა დააფიქსიროს რწმუნებულმა და მიიღოს იმ თანხის შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლის და ინვენტარის შეძენის უფლება.

ჩვენი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ისარგებლა სწორედ ამ უფლებით და უკან მიაბრუნა კომბინირებული ბარათები.

ბარათის მიღების შემდეგ მოსარგებლემ უნდა მიაკითხოს სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის მიერ დაფუძნებულ შპს „მექანიზატორს“. მისი ცენტრალური ბაზა ქ. დედოფლისწყაროში მდებარეობს, მაგრამ ყველა სოფელში აქვს ბრიგადები, რომლებიც პრაქტიკულად შეასრულებენ ბარათით გათვალისწინებულ სამუშაოებს.

ინფორმაციის მისაღებად თუ რამდენად არიან მზად სამუშაოების შესასრულებლად, შპს „მექანიზასტორის“ ოფისს ვეწვიეთ. თებერვლის ბოლო დღე იყო და აქ თათბირზე თავი მოეყარათ სოფლების ბრიგადირებს. შპს „მექანიზატორს“ დედოფლისწყაროში ხელმძღვანელობს სოფლის მეურნეობის გამოცდილი სპეციალისტი ზურაბ თეთვაძე, რომელიც ინსტუქტაჟს უტარებდა ბრიგადირებს, თუ როგორ მოხდება სამუშაოების ჩატარება. მან დაწვრილებით აუხსნა ბრიგადირებს ბარათის შევსების წესი და გააფრთხილა, ყურადღებით და პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ამ საკითხს, რადგან არასწორად შევსებული ბარათი ითვლება ძალადაკარგულად.

- ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ კეთილსინდისიერად, მაღალ დონეზე და ხარისხიანად შევასრულოთ ჩვენთვის მონდობილი ეს მეტად მნიშვნელოვანი საქმე. უზრუნველყოფილი ვართ შესაბამისი ტექნიკით, სპეციალისტებით. საწვავით. მთავრობამ იმიტომ გამოყო ამხელა სახსრები, რომ დაუმუშავებელი არ დარჩეს სახნავ-სათესი მიწის არც ერთი მტკაველი, რომ გლეხი მიწას დაუბრუნდეს. ამოისუნთქოს და გაუჩნდეს სარჩო-საბადებელი, რომ სოფელს დაუბრუნდეს ქალაქში ლუკმა-პურისთვის გახიზნული ხალხი. ჩვენი მომსახურებით თითოეული გლეხი უნდა იყოს კმაყოფილი. ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში დაუყონებლივ გვაცნობეთ. ჩვენ გვაქვს სათადარიგო ნაწილების საკმარისი მარაგი, გვყავს ტექნიკური მომსახურების ბრიგადა, რომელიც სასწრაფოდ აღმოფხვრის ხარვეზს. გთხოვთ და გავალებთ, პასუხისმგებლობით მოეკიდოთ თქვენზე მონდობილ საქმეს, არც ერთი ადამიანი არ უნდა გავუშვათ უკმაყოფილო. ამ სამუშაოების ჩატარებისათვის დრო ერთი თვით განვსაზღვრეთ, 1 მარტიდან 31 მარტამდე უნდა მორჩეს ეს სამუშაოები, - თქვა თავის გამოსვლაში ზურაბ თეთვაძემ.

ახლა მთავარია ამინდმა შეუწყოს ხელი საგაზაფხულო სამუშაოების შესრულებას. მართალია, წვიმიანი დღით დაიწყო მარტი, მაგრამ ღმერთი მოწყალეა, ალბათ გამოიამინდებს. ბარაქიან წელს გისურვებთ, დედოფლისწყაროელებო!

ნაირა გორაშვილი

ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით

რამდენიმე დღის წინ, დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლეებმა სკოლის ორგანიზატორის, მაია კეტეციანის ორგანიზებით, შეხვედრა მოაწყეს რაიონის ერთ-ერთ ღირსეულ მოქალაქესთან, პედაგოგთან და ფსიქოლოგთან ბესიკ გიგოლაშვილთან. „საუბრები ფსიქოლოგთან“-ასე ერქვა შეხვედრას, რომელსაც სკოლის აქტივისტები, მოსწავლეები და პედაგოგები ესწრებოდნენ. კითხვები, რომელიც მოსწავლეებმა დაუსვეს ბატონ ბესიკს, საკმაოდ საინტერესო და აქტუალური გახლდათ -არის

თუ არა აუცილებელი, რომ მოზარდობის ასაკში მაქსიმალურად გამოვავლინოთ ის შესაძლებლობები, რომელიც გაგვაჩნია? რამდენად გამართლებულია ჩვენს ასაკში და შემდეგაც, რომ ლიდერობის სურვილი გაგვიჩნდეს? პატიება და შენდობა მოზარდებში ასოცირდება გარკვეულწილად თავის დამცირებასთან. სინამდვილეში რა ხდება ამდროს? რას ნიშნავს დამოკიდებულება სამოსზე და რა ადგილი უნდა ქონდეს ფსიქოლოგის აზრით მოზარდის ცხოვრებაში საერთოდ გარეგნულ იერსახეს? როგორ ავიცილოთ ზოგადად კონფლიქტური სიტუაციები თავიდან? გამართლებულია თუ არა პედაგოგსა და მოსწავლეს შორის ლიბერალურ-მეგობრული ურთიერთობა?

შეხვედრა საინტერესო გამოდგა და მოსწავლეები პოლემიკაშიც სიამოვნებით ჩაერთვნენ.

იმაზე, თუ მოზარდობის ასაკში რა შესაძლებლობები შეგვიძლია გამოვავლინოთ, ფსიქოლოგმა სუბიექტის პოტენციალის შესაძლებლობებზე, მის გამოვლენაზე და კარგი კუთხით დანახვაზე გააკეთა აქცენტი. — „პედაგოგს არ აქვს უფლება ხაზი გადაუსვას ერთ მოსწავლეს და დააფასოს მეორე, არ შეუძლია უთხრას, შენ უფრო კარგად სწავლობ ვიდრე ის, რაც ბავშვის ფსიქოლოგიაზე დამღუპველად მოქმედებს. სამწუხაროდ ჩვენთან ლიდერობა დამახინჯებულად ესმით, ისე რომ, რაც შეიძლება ბევრ ადამიანზე ფლობდე ზემოქმედებას, ან შეავიწროვო სხვები, თუმცა რეალურად ლიდერობა ნიშნავს ნებისმიერ სფეროში შენს შეუცვლელობას, რაც თავისთავად ლიდერად გაქცევს - აღნიშნა ბესიკ გიგოლაშვილმა. აქვე ფსიქოლოგმა ხაზი გაუსვა ადამიანში პროფესიის არჩევანს და განაცხადა, რომ,როდესაც პროფესიას აირჩევენ, აირჩიონ ის, არა იმიტომ რომ პრესტიჟულია, ან მოდური, არამედ იმიტომ რომ მათი პროფესია მოთხოვნადი იყოს, - რადგან ქუჩაში რომ გამოხვალ და სრულიად მარტო დარჩები, არა რომელიმე ბიძის ან ვინმეს პროტექციის ანაბარა, არამედ შიშველი ხელებით, საკუთარი თავის იმედით, აი, რაც ხარ და რაც იქნები მაშინ, ის იქნებით სინამდვილეში თქვენ! ამიტომ, ბავშვებს აქედანვე საკუთარი თავის რეალიზების სწავლისკენ და თვითმყობადობის დამკვიდრებისკენ მოუწოდა. იქვე აღნიშნა, რომ ლიდერობის მისაღწევად უმთავრესი ღირსებებია თავშეკავებულობა, სამოქალაქო კულტურა და შეგნება.მან იმასაც გაუსვა ხაზი, რომ 3000 წლის კულტურა გვაქვს ქართველებს და პურის რიგში ჩადგომის კულტურა არ გაგვაჩნია და გვიჭირს ელემენტარული კულტურის დამკვიდრება ჩვენს ირგვლივ.

საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა კითხვა პატიებისა და შენდობის შესახებ.- „ემანუელ კანტს თავის მემუარებში აქვს ასეთი ფრაზა, რაც პირადად მე ძალიან მომწონს, „ორი რამ მხიბლავს ქვეყანაზე, ვარსკვლავური კანონები ზეცაში და ზნეობრივი კანონები ჩემშიო!“ -დაიმახსოვრეთ, რომ საკუთარი თავის შევიწროვება სხვის სასარგებლოდ, ბევრად უფრო აგამაღლებთ, ვიდრე პირუკუ ქცევა. არ დაემორჩილოთ ბრმად სხვის სტერეოტიპს, იყავით გაბედული, გქონდეთ თქვენი ინდივიდუალიზმი და როდესაც საკუთარ თავში წარმატებასა თუ წარუმატებლობას ნახავთ, ყველაზე მეტად მიზეზი საკუთარ თავში ეძიეთ და არა სხვაგან“,-აღნიშნა ფსიქოლოგმა.

კითხვა - პასუხის რეჟიმს მოსწავლეთა მხრიდან პილემიკაც მოჰყვა, რამაც მთლიანად შეავსო და სრულყოფილი გახადა შეხვედრა. განსაკუთრებული კამათი გამოიწვია ლიდერობის თემამ, რაც მოსწავლეებმა დღევანდელობასთან გააიგივეს და შედარებებიც მოიყვანეს, შემდეგ კი, ტანისამოსის დანიშნულებაზე და მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთდამოკიდებულებაზეც ალაპარაკდნენ.

- „მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის არაა დადგენილი ურთიერთობის კანონზომიერი ნორმა. უმჯობესია ოქროს შუალედი მოიძებნოს მათ შორის. უნდა გახსოვდეს, რომ ყველა ადამიანი ერთმანეთს ავსებს, ჩვენ ყველა ერთად ერთმანეთს ვჭირდებით. ყველაფერი ფარდობითია, ყოველდღე ეცადეთ ერთმანეთში ახალი დადებითი აღმოაჩინოთ, გავა წლები და მოგენატრებათ ერთმანეთი, სკოლა, პედაგოგები და ეს კედლებიც. არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენ ყველანი, ადამიანები, ერთმანეთის პროდუქტი ვართ და ერთმანეთს ვავსებთ!“- აღნიშნა ფსიქოლოგმა.

მოსწავლეებმა კმაყოფილება გამოთქვეს აღნიშნული შეხვედრის მიმართ,- „მე მივიღე კომპეტენტური პასუხები კომპეტენტური პირისგან, იმ საკითხების ირგვლივ, რაც ყოველი ჩვენგანისთვის აქტუალურია, ამ ასაკში აუცილებელი და სასარგებლო გახლდათ ეს შეხვედრა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ ყველა პედაგოგს. მადლობა ბატონ ბესიკს მობრძანებისთვის და ჩვენთან საუბრისთვის!“-აღნიშნა მეათე კლასის მოსწავლემ ქეთი ბერიძემ.

ლალი მეხრიშვილი

პროფკავშირული ვნებანი

15 თებერვალს დედოფლისწყაროს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში შედგა შეხვედრა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა პროფკავშირების პირველადი ორგანიზაციის აღდგენის ფარგლებში, სადაც მონაწილეობას იღებდნენ საჯარო სკოლების პედაგოგები. შეხვედრას ორგანიზებას უწევდა დედოფლისწყაროს მასწავლებელთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე მაყვალა მაძღარაშვილი. პედაგოგების კითხვებს განათლების სფეროში სიახლეებზე და პრობლემებზე უპასუხეს თბილისიდან სტუმრად ჩამოსულმა პროფკავშირის(სპმტპ) წარმომადგენლებმა. შეხვედრაზე მოწვეულნი იყვნენ მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე აკაკი ნატროშვილი და გამგეობის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი მაკა სულაშვილი. საინტერესო იყო რეკომენდაციების გაცნობა, რომლებიც განათლების სამინისტროს წარუდგინა პროფკავშირმა. საუბარი შეეხებოდა მასწავლებელთა შრომითი და მორალური უფლებების დაცვას. შეხვედრაზე გაიცვალა პედაგოგთა აზრები, თუ რა პრინციპებით და მიზნებით იმუშაოს განათლების პროფკავშირმა და თვითეული მასწავლებელი რას უნდა მოელოდეს თავისი პროფესიული ორგანიზაციიდან. აღინიშნა, რომ, თუ მასწავლებელი თავს დააღწევს სიღარიბეს, უსამართლობის განცდას, მაშინ ის შესძლებს პროფესიული მომზადების დონის ამაღლებას და მისი ჩატარებული გაკვეთილი იქნება პროდუქტიული.

ორი საათის განმავლობაში მასწავლებლებისთვის ბევრ საინტერესო კითხვას გაეცა პასუხი. რუსული ენის, ინგლისურის და სამოქალაქო განათლების საგნის პედაგოგებს საჩუქრად გადაეცათ დამხმარე სახელმძღვანელოები.

ჩვენს მიერ დასმულ კითხვაზე, თუ რას ნიშნავდა საქართველოში ორი პროფკავშირის არსებობა, აღინიშნა, რომ ეს შეუსაბამობა ნამდვილად არსებობს,- „შეგიძლიათ იხილოთ ვებ გვერდი სპმტპ , რომელიც ჩვენს დაქვემდებარებაში არსებული პროფესიული კავშირი გახლავთ, ხოლო მეორეა ე. წ. ძოწენიძე- შავშიშვილის მიერ ახლად ჩამოყალიბებული პროფესიული კავშირი. თუმცა, მათი მუშაობის და პრინციპების რა მოგახსენოთ. ერთხელ კი ჰქონდა ძოწენიძეს ასეთი პროფკავშირი და მასწავლებლები მხოლოდ საწევროს იხდიდნენ. პედაგოგებმა კარგად ვიცით, რომ როცა 2008 წელს პირველი სკოლიდან გათავისუფლებულმა მასწავლებელმა მაია ფოცხვერაშვილმა მათ დახმარებისთვის მიმართა, არავის მიუხედია მისთვის, განსხვავებით სპმტპ-ს იურისტებისგან, რომლებიც პედაგოგებს არ მოსცილებიან ყველა დონის სასამართლოებში.“-აღნიშნეს შეხვედრაზე.

როგორც ვხედავთ პროფესიულ კავშირში ორხელისუფლებიანობაა და ამაზე კულუარებში თვით პედაგოგებიც საუბრობდნენ, რომ ძველი პროფკავშირი სპმტპ სააკაშვილის ხელისუფლების დროს მუდმივად იდევნებოდა და თითქმის გაუქმების პირას მიიყვანეს. ამასთან არსებობს ფაქტებიც, თუ როგორ იდევნებოდნენ პოლიტიკური ნიშნის გამო მაია კობახიძის სპმტპ-ს პროფკავშირის წარმომადგენლები სკოლის დირექტორებისგან პოლიტიკური ნიშნის გამო, რასაც ვერ ვიტყვით ახალ ხელისუფლებაზე, რომელიც მანამდეც და ახლაც ხელს უწყობს სპმტპ-ს განვითარებას, ხოლო ახლადფეხადგმული ძოწენიძე- შავშიშვილის პროფესიულ კავშირს მხარდაჭერას უცხადებს ამჯერად უკვე ოპოზიციაში მდგომი ნაციონალური მოძრაობა. ნაციონალებისათვის შესაძლოა პოლიტიკაში ყველაფერი „მოსულა“, მაგრამ პროფესიული კავშირის გაპოლიტიკურება და თან გაოპოზიციონერობა მიუღებელია ჭეშმარიტი პედაგოგებისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ ოპოზიციური პროფესიული კავშირის წარმომადგენლებს გასულ კვირასვე პირველმა საჯარო სკოლამ უმასპინძლა, სადაც ძირითადად რაიონის სკოლის დირექტორები იყვნენ მიწვეულნი. აშკარაა, დღევანდელი პოლიტიკური ოპოზიციის აქტიურობა ამ სფეროში. ისინი პედაგოგებსაც კი ყოფენ „თავისად“ და „სხვისად“. ვფიქრობ, რომ ამ მხრივ თითოეულ პედაგოგს, მოქალაქეს თუ უმრავლესობის წარმომადგენელს საკმაოდ დიდი სიფხიზლე მართებს.

ლალი მეხრიშვილი

ნარკომომხმარებელთა სტატისტიკა კახეთში

საქართველოში ნარკოტიკების მომხმარებელთა კვლევა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ახლახან დასრულდა. თელავი პირველი ქალაქია, სადაც კვლევის ორგანიზატორებმა მიღებული შედეგები და გამოვლენილი ტენდენციები კახეთის რეგიონში მომუშავე ჟურნალისტებს გააცნეს. გაზეთი „შირაქი“ საინტერესო დეტალებს და მონაცემებს ექსკლუზიურად გთავაზობთ. საგანგაშო ვითარება გამოიკვეთა ზუგდიდსა და ბათუმში.

როგორც საქართველოს ანტინარკოტიკული მედიაკლუბის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე ითქვა, კვლევა გასული წლის თებევრლიდან სექტემბრამდე მიმდინარეობდა და საქართველოს ექვს ქალაქს მოიცავდა. ნარკოტიკების მომხმარებლებს ანონიმურობის სრული დაცვით, რამდენიმე საინტერესო კითხვაზე პასუხის გაცემა ევალებოდათ. იმ ადამიანებს, ვისაც ნარკოტიკების მოხმარების კვალი არ დაუდგინდა, კვლევაში მონაწილეობის მიღებაზე უარი ეთქვა. როგორც კვლევის განმახორციელებელი საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონის“ თელავის ოფისის ხელმძღვანელმა დავით ღონღაძემ „შირაქს“ განუცხადა, ამ საკითხზე უკანასკნელი კვლევა საქართველოში 2008-09 წლებში ჩატარდა. ახალი მონაცემები წინა კვლევის შედეგებს შეადარეს და ახალ ტენდენციებზეც საუბრობენ.

კვლევის ავტორები ირწმუნებიან, რომ თელავში ნარკოტიკების მომხმარებელთა ასაკი გაახალგაზრდავდა, რაც წინა წლებში არ შეინიშნებოდა. ასევე, თელავის მუნიციპალიტეტში იმატა სუბოტექსის მოხმარების მაჩვენებელმა. ეს კი იმ ფონზე, როცა მთელი ქვეყნის მასშტაბით სუბოტექსის მომხმარებელთა რიცხვი მნიშვნელოვნად კლებულობს.

ქალაქ თელავში და მის სოფლებში გამოკითხული 280 ნარკომომხმარებლიდან აივ-შიდსი მხოლოდ სამ მათგანს დაუდგინდა. არცერთი მათგანი 25 წელზე ნაკლები ასაკის არ იყო.

კიდევ ერთი ახალი ტენდენცია, რაც კვლევის შედეგად გამოიკვეთა იყო ის, რომ აქამდე ნარკომომხმარებლები ალკოჰოლს არ ეტანებოდნენ, ახლა კი ირკვევა, რომ საქართველოში ნარკომომხმარებლები ბოლო დროს ალკოჰოლურ სასმელებს განსაკუთრებით მიეძალნენ. ამ გარემოების ახსნა სპეციალისტებს ამ ეტაპზე არ აქვთ.

საქართველოში გართულებული და გაძვირებულია ნარკოტიკული საშუალებების შოვნა, თუმცა კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ის შედარებით ახალი საშუალებით ე.წ. „კრაკადილით“ ჩაანაცვლეს და მისი მომხმარებელთა რიცხვი საოცარი სისწრაფით მატულობს. სპეციალისტები ამ მხრივ არსებულ ვითარებას საგანგაშოს უწოდებენ.

კვლევა ცხადყოფს, რომ ნარკომომხმარებელთა რიცხვის ზრდა ყველაზე მეტად სამეგრელოში შეინიშნება. აქვე გამახვილდა ყურადღება იმაზეც, რომ კონტროლის გამკაცრების ფონზე ნარკომომხმარებლები ზუგდიდსა და ლაგოდეხიდან საზღვრის გადაკვეთას ახდენენ, ნარკოტიკულ საშუალებებს იქ იძენენ, იქვე მოიხმარენ და მას შემდეგ უკან ბრუნდებიან. ვითარების სირთულეს მიღებული ციფრებიც ცხადყოფს. 2008 წელთან შედარებით ამჯერად ნარკოტიკის საზღვარგარეთ მოხმარების მაჩვენებელი 11-ჯერ გაზრდილია. სურათი საქართველოს საზღვრისპირა ქალაქებზე ადექვატურად აისახა. დადგინდა საზღვარგარეთ ყველაზე მოთხოვნადი ნარკოტიკული ნივთიერებაც. ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ ძირითადად ჰეროინს მოიხმარენ და ამან გამოკითხულთა 43%-ი შეადგინა. გორში 2008 წელს მორფინის მოხმარების მაჩვენებელი საგანგაშოდ გაზრდილი იყო. კვლევის ავტორები ფიქრობენ, რომ ერთ-ერთი ვერსიით, ამგვარი ვითარება აგვისტოს ომს უკავშირდებოდა.

ასევე, საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში გაზრდილია ინექციის სიხშირე. კვირაში რამდენჯერმე ნარკოტიკს მომხმარებელთა 48% მოიხმარს. ამასთან, გასულ წლებტან შედარებით შემცირებულია ნარკოტიკების მოხმარების ფაქტები ქუჩაში. წინა წლებისგან განსხვავებით, ამჯერად ნარკომომხმარებელთა მხოლოდ 2,2%-ი ამბობს, რომ ინექცია ქუჩაში გაიკეთა. კვლევის ავტორები ამ კუთხით მაჩვენებლების გაუმჯობესებას საქართველოში კანონის გამკაცრებას და ძალოვანი უწყებების მიერ გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯებს უკავშირებენ.

საქართველოს ანტინარკოტიკული მედიაკლუბის შეხვედრაზე სერიოზულ პრობლემად დაისვა B და C ჰეპატიტის პრობლემა ნარკომომხმარებლებში. ირკვევა, რომ გამოკითხულ ნარკომომხმარებელთა 60-70%-ი C ჰეპატიტითაა ავად. კვლევის ავტორები ჰეპატიტს დიდ პრობლემად მოიხსენიებენ.

ნარკოტიკების მომხმარებელთა მხრივ გართულებულია ვითარება აფხაზეთშიც. გაერო-ს ორგანიზაციების მონაცემების მიხედვით, აფხაზეთში აივ-შიდსის მაჩვენებელიც მაღალია. საქართველოს მოქალაქეთა აფხაზეთის ტერიტორიაზე მოხვედრა კი, სპეციალისტების მტკიცებით, ჩვენს ქვეყანაში შიდსის გავრცელების კუთხით სარისკოა. ის, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ნარკომომხმარებლების გადინების მაჩვენებელი მაღალია, ამას ახლადდასრულებული კვლევებიც ადასტურებს. აფხაზეთში, განსაკუთრებით გალის რაიონში მაღალია ზუგდიდიდან გადასულ მოქალაქეთა რიცხვი. ამიტომაც, საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით სამეგრელოში აივ-შიდსის მაჩვენებელიც საგანგაშოდ არის გაზრდილი. ამ მხრივ, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ვერ ხერხდება სხვადასხვა სახის პრევენციული ზომების გატარება. თუმცა, ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაცია ახერხებს, ცალკეული მიმართულებებით კონკრეტული მონაცემები დადოს და იქ არსებულ ტენდენციებზე ისაუბროს.

საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონის“ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, 2012 წელს გაუმჯობესდა წამალდამოკიდებულთა უსაფრთხოებაზე ზრუნვის მაჩვენებელიც. გამოკითხვის თანახმად, სხვისი შპრიცის გამოყენების ფაქტები შემცირდა.

„კვლევის მიმდინარეობის დროს ბევრი ინტერვიუერი გვეკამათებოდა და ამბობდა, რომ სხვის ნახმარ შპრიცს რეცხავენ და ისე იყენებენ. თუმცა, რა თქმა უნდა, წყლის ჭავლით გარეცხილი ერთჯერადი შპრიცი ვერ ჩაითვლება უსაფრთხოდ. ერთჯერადი შპრიცის გამოხარშვა-სტერილიზაციაც შეუძლებელია. ნარკომომხმარებელთა ნაწილი ჯერ კიდევ თვლის, რომ წყლის ჭავლით გარეცხვა საკმარისია, თუმცა აშკარაა, რომ უსაფრთხოებაზე ზრუნვის მაჩვენებელი ნამდვილად გაუმჯობესდა. ამასთან, საქართველოში აფთიაქები ნებისმიერ დასახლებაში მრავლადაა და ერთჯერადი შპრიცის შეძენაც პრობლემას არ წარმოადგენს, მისი ფასიც ხელმისაწვდომია. მაგრამ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ საზღვარგარეთის ქვეყნებში ვითარება განსხვავებულია. როდესაც წამალდამოკიდებულ მოქალაქეებს საზღვრის გადაკვეთა და წამლის იქ მოხმარება უწევს, ბუნებრივია ის ერთჯერადი შპრიცების მომარაგებას არ დაიწყებს და საზღვარს ჯიბეში შპრიცით არ გადაკვეთს. ხშირია შემთხვევა, როცა საზღვრებს გარეთ ერთ შპრიცს რამდენიმე მომხმარებელი იყენებს, ეს კი დაინფიცირების რისკს ზრდის. გამოუვალ სიტუაციებში ასეთ ადამიანებს აქვთ ერთი შპრიცი და იძულებულნი არიან მხოლოდ ის გამოიყენონ. დამერწმუნეთ, როდესაც ადამიანს ე.წ. „ლომკა“ აქვს, მისთვის მთავარია წამალი დროულად გაიკეთოს და ასეთ დროს იშვიათად ფიქრობენ მოსალოდნელ საფრთხეებზე, თუ უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე,“ – განუცხადა „შირაქს“ საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონის“ წარმომადგენელმა თამარ სირბილაძემ.

გამოკითხვის თანახმად ირკვევა ისიც, რომ წინა წლებთან შედარებით გაიზარდა იმ ნარკომომხმარებელთა რიცხვი, რომელთაც უკანასკნელი თვეების განმავლობაში აივ-ტესტირება ჩაიტარეს. ამასთან, 2009 წელს შიდსის გადაცემის გზების თაობაზე ინფორმაციას დეტალურად ფლობდა ნარკომომხმარებელთა 37,5%-ი, ამჯერად კი საქართველოს მასშტაბით ეს მაჩვენებელი 42%-ს შეადგენს. რაც შეეხება თელავს, აქ ნარკომომხმარებელთა ინფორმირების მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. შიდსით დაინფიცირების გზების თაობაზე ინფორმაციას თელავში გამოკითხულთა 86% ფლობს.

სპეციალისტები განმარტავენ, რომ იმ ქალაქში, სადაც შიდსით ინფიცირებულთა მაჩვენებელი მოსახლეობის 5%-ს აღემატება, ვითარება საგანგაშოდ შეიძლება შეფასდეს. წინა წლებისგან განსხვავებით, ამჯერად სამეგრელოში აივ დადებითი ადამიანების რიცხვმა 5%-ს უკვე გადააჭარბა.

მეორე ადგილს ქალაქი ბათუმი იკავებს, სადაც მონაცემები ასევე სავალალოა. მომხმარებელთა აქტივობას მათი ადგილმდებარეობაც ხელს უწყობს

„მოგეხსენებათ, აივ-პოზიტიური ადამიანების მკურნალობა სახელმწიფო პროგრამით ფინანსდება. რამდენიმე წლის წინ პრემიერმინისტრ ნიკა გილაურის გადაწყვეტილებით აუცილებელი გახდა მკურნალობის დროს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა, რადგან სახელმწიფომ აკონტროლოს რამდენად სწორად იხარჯება ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა. ამ გადაწყვეტილებამ უარყოფითად იმოქმედა ნარკომომხმარებელთა მომართვიანობაზე. ერთის მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციებს დიდი ძალისხმევა გვჭირდება იმაზე, რომ წამალდამოკიდებული ადამიანები კვლევაზე დავითანხმოთ და ჩვენთან ითანამშრომლონ. პირველადი აივ-ტესტირება ანონიმურია, თუმცა საოცარი ის გახლავთ, რომ სწორედ იმ პაციენტებს ვაფრთხობთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ვისაც საეჭვ ო მონაცემები უფიქსირდება. მაშინ, როცა აივ-ტესტირება საეჭვო გარემოებებს დაადგენს, აუცილებელი ხდება გამოსაკვლევად შიდსის ცენტრს გადავცეთ, სადაც სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ძირეული კვლევა ჩაუტარდება. თუმცა, იმის შიშით, რომ იქ უკვე მათი იდენტიფიცირება ხდება და პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას სთხოვენ, ბევრი კვლევის გაგრძელებას თავს არიდებს. ეს კი მოსალოდნელ რისკებს ზრდის. მიუხედავად იმისა, რომ ეს გადაწყვეტილება წინა ხელისუფლების მიღებულია, ამ სფეროში მომუშავე ორგანიზაციები ბევრს ვიბრძვით, რომ ახალმა ხელისუფლებამ ეს მიდგომა გააუქმოს, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ. მათი არგუმენტია, რომ თანხების ხარჯვის კონტროლი მოხდეს, თუმცა, ალბათ, აუცილებელია რაიმე სახის გამონაკლისი. გვინდა, რომ ხელისუფლებამ ნარკომომხმარებლებისთვის მცირე გამონაკლისი დაუშვას, რომ მათ ნდობა ჰქონდეთ და ტავი არ აარიდონ კვლევას. თანხების ხარჯვის კონტროლი თავის მხრივ უკუ ეფექტს იძლევა და უარყოფით შედეგებამდე მივყავართ. იმედია, ახალი ხელისუფლების პირობებში ეს მიდგომა შეიცვლება,“ – აღნიშნეს საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონის“ წარმომადგენლებმა.

რატომ გაახალგაზრდავდა კახეთში ნარკომომხმარებელთა რიცხვი და კვლევის შედეგების თანახმად რა საშიში ტენდენციები გამოიკვეთა რეგიონში

საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონის“ წარმომადგენლებმა ეს კვლევა საერთაშორისო ორგანიზაცია „კურაციოსთან“ ერთად, გლობალური ფონდის პროექტის ფარგლებში ჩაატარა. გამოიკვეთა ისიც, რომ კახეთის რეგიონში სხვა ქალაქებთან შედარებით ნაკლებად ხორციელდება ნარკოტიკების მომხმარებელთა უზრუნველყოფა პრევენციული პროგრამებით.

„ერთი შეხედვით, კვლევამ დაადასტურა, რომ ქვეყანაში ნარკოტიკების სახეობა შეიცვალა. თუ აქამდე მთელს ქვეყანაში უფრო გავრცელებული იყო ტრადიციული ნარკოტიკული საშუალებები ჰეროინი და სუბოტექსი, ახლა ირკვევა, რომ მოხდა ამ საშუალებების ჩანაცვლება ძირითადად კუსტარულად დამზადებული საშუალებებით, რომელიც „ნიანგის“ სახელწოდებით არის ცნობილი. ასევე, ნარკომომხმარებლებში ძალიან გაიზარდა ე.წ. ფსიქოტროპული მედიკამენტების მოხმარება, რომელსაც თავისუფლად და რეცეპტის გარეშე ყიდულობენ აფთიაქებში. ანუ, არალეგალურ ბაზარზე ნაყიდი ნარკოტიკების ნაცვლად უფრო მეტად ხდება იმ საშუალებების გამოყენება, რომელიც აფთიაქში თავისუფლად იყიდება და მისი მომზადება კუსტარულად არის შესაძლებელი,“ – განაცხადა თამარ სირბილაძემ.

როგორც „ბემონის“ თელავის ოფისის ხელმძღვანელმა დავით ღონღაძემ გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, მათი ორგანიზაცია გეგმავს, მომავალში ცალკეული მიმართულებებით თელავის გარდა კახეთის სხვა რაიონებშიც იმუშავოს.

„თუნდაც დღევანდელი მედიაკლუბის შეხვედრა იმის ნიშანია, რომ ვცდილობთ, მთელი კახეთი მოვიცვათ და სხვა რაიონებთანაც გვქონდეს აქტიური კონტაქტი. გვინდა კონკრეტული ნაბიჯები გადავდგათ სხვა მუნიციპალიტეტებშიც. ეს ცალკეულ ხარჯებთანაც არის დაკავშირებული და როგორც კი შესაბამის სახსრებს გამოვნახავთ, აუცილებლად ვიმოქმედებთ ამ კუთხითაც. მიგვაჩნია, რომ რაიონებში მომუშავე ჟურნალისტებთან აქტიური თანამშრომლობა პოზიტიური ნაბიჯი იქნება, ამიტომაც ჩავთვალეთ, მედიასაშუალებების წარმომადგენლები კახეთის ყველა რაიონიდან მოგვეწვია,“ – ამბობს ღონღაძე.

ილია მარტყოფლიშვილი

„ქველმოქმედება კეთილშობილ კაცთა წესია“...

21 თებერვალს დედოფლისწყაროს სასწავლო ცენტრ „სპექტრში“, ჩვენი რაიონის მწერალთა გაერთიანება „ფიროსმანის“ ორგანიზებით პოეზიის საღამო გაიმართა. „გულის ხმა“-ასე ერქვა პოეზიის საღამოს, რომელსაც დედოფლისწყაროელ პოეტებთან ერთად საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი, პოეტი თემურ ჩალაბაშვილი და ამ საღამოს მთავარი გმირი- პირველი სტამბის დირექტორი ზაზა გამგებელი ესწრებოდნენ. სწორედ ზაზას ინიციატივით და დაფინანსებით გამოიცა ჯერ ნატო ყატაშვილის, შემდეგ კი ზაურ გონაშვილისა და მისი მეუღლის- გიული სამუკაშვილის ორი პოეტური კრებული. საღამო მიჰყავდა სასწავლო ცენტრ „სპექტრის“ დირექტორს ნუნუ ცაკაშვილს, რომელმაც ისაუბრა პოეზიის მნიშვნელობაზე ზოგადად და ახლად გამოცემულ წიგნებზეც.

„ზაზა გამგებელის მამა იყო ერთ-ერთი დიდი გამომცემლობის დირექტორი, ძალიან კარგი ადამიანი. როგორც ჩანს, გამომცემლობასთან ერთად ქველმოქმედება და სიკეთეც მემკვიდრეობითია. ასეთი ადამიანები მართლაც იშვიათად იბადებიან. ჩვენ რომ დაგვაგვიანდება ხოლმე, თვითონ გვეხმიანება და გვაჩქარებს“-ასე დაახასიათა ნატო ყატაშვილმა ზაზა გამგებელი, რომელმაც საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტა, წელიწადში ორი დედოფლისწყაროელი პოეტის წიგნი უფასოდ დაბეჭდოს.

ზაზა გამგებელი: - „წარმოშობით იმერელი ვარ და კახეთთან ბევრი არაფერი მაკავშირებს, მაგრამ თქვენმა სითბომ და სიალალემ გადამაწყვეტინა, სწორედ დედოფლისწყაროელი პოეტების წიგნები გამომეცა. გპირდებით, სანამ ბოლომდე არ მივიყვან ამ საქმეს, არ მოვეშვები“...

ჩამოსულ სტუმრებს მიესალმა და ახალი პოეტური კრებულების გამოსვლა მიულოცა ავტორებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა. შემდეგ კი პოეზიის ცეცხლი დაანთეს პოეტებმა: თამაზ წიკლაურმა, ლევან ალავერდაშვილმა, ჯუმბერ უთრუთაშვილმა, ქეთევან ნათელაძემ, გია გუგენიშვილმა, ნატო ყატაშვილმა, თამარ ლობჯანიძემ, ეკა ჯავახიშვილმა, რუსუდან ყოჩიაშვილმა...

„მე მართლაც ბედნიერი ადამიანი ვარ, რომ დღეს თქვენთან ვარ. დღეს ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, რომ პოეზიისთვის ცოტა ადამიანს თუ სცალია. მე ბედნიერი ვარ, რომ თემურ ჩალაბაშვილისნაირი სულით-ხორცამდე პოეტი დადის ქუჩებში. 20 წელია, ვიცნობ ზაზას, გამომცემლობა „გულანის“ დირექტორი იყო. არის, როცა დრო აფერმკრთალებს ადამიანებზე წარმოდგენებს. ეს ის ადამიანია, ვის სიკეთეს და ვაჟკაცობას არაფერი შეხებია. „ ქველმოქმედება კეთილშობილ კაცთა წესია“- წერდა გრიგოლ ორბელიანი. მე არ გამკვირვებია, რაც ზაზამ გაკეთა. ჩვენ ვერაფრით გავუტოლდებით მსოფლიოს, მხოლოდ პოეზიითა და ხელოვნებით, მისი დაფასებით. უამრავი ნიჭიერი პოეტი დადის დედოფლისწყაროში. სიკეთე გადამდებიაო-ხომ გაგიგონიათ, ამიტომ გადავწყვიტეთ, დედოფლისწყაროელ ახალგაზრდებს შორის კონკურსი გამოვაცხადოთ და სამი ფულადი პრემიაც გავცეთ“- განაცხადა მაყვალა გონაშვილმა შეხვედრის დასასრულს.

პოეზიასთან ყოველი შეხვედრა დღესასწაულია, განსაკუთრებით, ჭეშმარიტ, გულში ჩამწვდომ პოეზიასთან, რომელიც ადამიანებს გულწრფელობისკენ და სიკეთისკენ მოუწოდებს. ასე იყო იმ დღესაც.

ინგა შიოლაშვილი

„დროდადრო კოჭრიან ხელებს დახედავენ“...

რედაქციაში მოსაწვევი ბარათი მოვიდა: გაზეთ „შირაქის“ რედაქტორს ქ-ნ ნაირა გორაშვილს. მიმდინარე წლის 26 თებერვალს, დღის 2 საათზე, სოფელ სამრეკლოს ბიბლიოთეკაში ჩატარდება შეხვედრა სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან. გთხოვთ მობრძანდეთ.

ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, რახანია, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები აღარავის გახსენებია და ნეტავ რამ მოაფიქრათ -მეთქი, მაგრამ მაინც ვიაზრე, როცა ქვეყნის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად ახალმა მთავრობამ სოფლის მეურნეობა დაასახელა, ალბათ სოფელსაც იმედი მიეცა, გამოცოცხლდა და დიდი საქმეებისათვის ემზადება - მეთქი. არც შევმცდარვარ. ბიბლიოთეკის ერთ პატარა ოთახში თავი მოეყარათ სტუმრებსაც და მასპინძლებსაც: სოფლის ხელმძღვანელობას, კულტურის დარგის მუშაკებს, სოფლის მეურნეობის დარგის ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლებს.

- ჩვენი ბიბლიოთეკის ტრადიციაა, ყოველ წელს გავმართოთ შეხვედრა ჩვენი სოფლის სახვადასხვა დარგის სპეციალისტებთან. ამჯერად ვმასპინძლობთ სოფლის მეურნეობის გამოცდილ მუშაკებს. ხვალზეგ გაზაფხული შემოაბიჯებს, სიცოცხლე განახლდება. უჩვეულოა წლევანდელი გაზაფხული ჩვენს ქვეყანაში. იმედი გაჩნდა. ახალი ხელიუფლება ყველაფერს ცდილობს გლეხმა მოხნას, დათესოს, ცოტა წელში გაიმართოს. სოფელში ფუსფუსია, ყველა მოუთმენლად ელის მიწის სახნავ-სათეს “ვაუჩერს”. ჩვენი ღონისძიებაც ამ დღეების გამოძახილია. ჩვენი სტუმრებიც ის ადამიანები არიან, ვინც ამ დარგში საქმის ფრიადოსანია და ვისაც არ ეზარება, ნებისმიერ დროს კარგი რჩევა-დარიგება მისცეს თითოეულ ჩვენგანს. მათ სოფელში კარგად ვიცნობთ არა მარტო როგორც დარგის კარგ სპეციალისტებს, არამედ როგორც დიდი ოჯახების დიდ მოამაგეებს და მეურნეებს – თქვა თავის შესავალ სიტყვაში ღონისძიების ორგანიზატორმა და წამყვანმა ბიბლიოთეკარმა მაყვალა მილაძემ და სათითაოდ წარმოგვიდგინა შერჩეული სტუმრები.

პირველი მევენახე-აგრონომი კარლო ყოჩიაშვილი გაგვაცნო: ის დაიბადა 1940 წელს, დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ათეული წლები მუშაობდა კოლმეურნეობაში მევენახე-აგრონომად. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი. აქვს საუკეთესო ვენახი და კარგად მოვლილი ბაღჩა-ბოსტანი.

კარლო ყოჩიაშვილი: – ვაზო, შვილივით ნაზარდოო, უთქვამს ჩვენს მამა-პაპას და მართალიცაა. ვაზი სათუთ მოვლას და დიდ შრომას მოითხოვს, მაგრამ ბარაქიანი და გულუხვიცაა, თუ უამაგე. ჩგული ძალიან მწყდება, რომ თვალუწვდენელი ზვრები ჩვენი სოფლისა და მთლიანად ჩვერნი რაიონისა სრულიად განადგურდა. აღარც ტარიბანა, აღარც დილიჩა... კარგა ხანს ცდილობდა ჩვენი სოფლის მოსახლეობა, შეენარჩუნებინა ენამთის ვენახები, მაგრამ ჯერ სარწყავი სისტემის მოშლამ, მერე გზის მოუწყობლობამ, რომელიც სულ ჩახევებული და დანგრეულია, მიმდინარე ტერიტორიაზე არსებულ ფერმებში ჩასახლებული აზერბაიჯანელი მწყემსების უყურადღებობამ და თავნებობამ, რომლებიც არ უფრთხილდებიან და საქონელს პირდაპირ ვენახებში აძოვებენ, უპატრონოდ უშვებენ და აზიანებენ ვაზის რქას, შხამ-ქიმიკატების სიძვირემ, დასამუშავებელი ტექნიკის არქონამ ბევრ ჩვენს თანამემამულეს ხელი ააღებინა ვენახზე. მეც იძულებული გავხდი და აქვე, სოფელში ვეცადე ვენახის გაშენებას, საადრეო სუფრის ჯიში ჩავყარე, რომელიც ადრე მწიფდება და თითქმის ასწრებს ჩვენს კლიმატურ პირობებში. ზოგიერთმა პინოზე დაამყნო რქაწითელი და ის აუშვა ხეივანზე, მაგრამ ეს ხომ გამოსავალი არ არის?! ალბათ, დიდი დრო დასჭირდება, მაგრამ თუ მთავრობა შეეცდება იმ დაბლობი ტერიტორიების განახლებას, სადაც ვაზი კარგად ხარობს და საუკეთესო ყურძენსაც იძლევა, კარგი იქნება. თუ ჩემი დახმარება ვინმეს დასჭირდება, მზად ვარ, ჩემი ცოდნა და გამოცდილება უშურველად გავუზიარო. ყურადღებამისაქცევია ხეხილიც, რომელსაც არანაკლებ სჭირდება გასხვლა და შეწამვლა. ქართლში შემოვიდა ახალი ჯიშის ვაშლი, რომელსაც წვეთოვანი სისტემით რწყავენ და ძალიან კარგ მოსავალს იძლევა. ვაშლი და ატამი ჩვენშიც კარგად ხარობდა. დღეს მათ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ.

მევენახეობის ავ-კარგზე, წარსულსა და დღევანდელობაზე ისაუბრა გამოცდილმა მევენახემ შალვა გოგილაშვილმა, რომელმაც ენამთას არ უღალატა და დღესაც ერთ-ერთი საუკეთესო ვენახი აქვს იმ ტერიტორიაზე. საკუთარი ხელით სხლავს და უვლის, მაგრამ შესაბამისი ტექნიკის არქონა, გზის პრობლემა და თავსგასული მწყემსების საქციელი მასაც უშლის ხელს მაღალი მოსავლის მიღებაში.

შემდეგ წამყვანმა დამსწრეთ სულიკო ხუციშვილი წარუდგინა.

- თებერვლის ჟინიანი დღე იყო–წვიმდა, ხანდახან თოვლსაც წამოურევდა ხოლმე, ქარი ძვალსა და რბილში ატანდა. ხუციშვილების ოჯახს ვესტუმრე. ჩემი უფროსი კოლეგა ფარლიზი (სულიკოს მეუღლე) გამომეგება. ოთახში ბუხარი გუგუნებდა. სულიკოს თავისი შვილიშვილები პირველკურსელი ირაკლი და თავისი სეხნია გვერდით მოესხა და თავისი შრომის ამბებს უყვებოდა. ტკბილი და საინტერესო იყო პაპისა და შვილიშვილების საუბარი.უუყვებოდა, თუ როგორ მუშაობდა შირაქის მინდვრებში, როდესაც მათი კბილა იყო, მერე იყო სანატრელი სტუდენტობა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც 1965 წელს დაამთავრა აგრონომის სპეციალობით და ჯაფარიძის კოლმეურნეობაში სხვადასხვა უბანზე მუშაობდა. 1981 წლიდან მთავარი აგრონომი გახლდათ ვიდრე კოლმეურნეობა არ დაშალა, ცხოვრება შეიცვალა, არ შეიცვალა მხოლოდ მისი სიყვარული შრომისადმი. ის დღესაც წარმატებული მეურნეა. მისთვის უცხო არ არის თოხი და ბარი, სასხლავი და საწამლი. ის დიდი ოჯახის მოამაგე თავკაცია, - თქვა ქალბატონმა მაყვალამ და სიტყვა ბატონ სულიკოს გადასცა.

სულიკო ხუციშვილი: - არ იფიქროთ, კომუნისტურ წყობას მივტიროდე, მაგრამ კოლმეურნეობისდრონდელ ორგანიზებულ შრომას შედეგებიც სხვანაირი ჰქონდა: არ ჭირდა ტექნიკა, სასუქი, საწვავი. თესლი მოსავლის დედააო, ვიტყვით, ჰოდა თესლით მეთესლეობის სპეციალიზირებული მეურნეობები გვამარაგებდნენ, მხოლოდ პირველი და მეორე რეპროდუქციის თესლი ითესებოდა, ჰექტარზე საშუალოდ 4 ტონა საუკეთესო ხარისხის ხორბალს ვღებულობდით. ახლა ძალიან გაჭირდა, მემინდვრეობაც გლეხისთვის წამგებიანი გახდა, გული აუცრუა და ხელი ააღებინა სარჩო-საბადებლის მოყვანაზე. სოფელში ახალგაზრდობა ნაკლებად დარჩა, 10-15 წელში უფროსი თაობაც გაიკრიფება და... ახლა თითქოს გაჩნდა იმედი, ხალხი სოფლისკენ რომ შემობრუნდეს, ახალი პროექტები სოფლის მეურნეობაში თუ ისე განხორციელდა, როგორც ლაპარაკობენ, ხალხი ამოისუნთქებსო–თავის აზრს უზიარებდა ბატონი სულიკო დამსწრეთ, როცა დარბაზიდან ერთმა მშრომელმა კაცმა სრულიად კანონზომიერი საკითხი წამოჭრა: – მარტო მოყვანა კი არ არის, მისი გასაღების ბაზარი უნდა გაჩნდეს. გასულ წელს 200 კილომდე ლობიო მოვიყვანე, იცით, რამდენი შრომა უნდა მის მოყვანას. მერე დამქონდა მაღაზიიდან მაღაზიაში და ვეხვეწებოდი ჩაიბარეთ, უფრო იაფად მოგცემთ, ვიდრე ეგ შუა აზიიდან შემოტანილი, კაცმა არ იცის, რა წარმოშობის და რა ნიტრატებით გაჯერებული ლობიოა - მეთქი, მაგრამ ვერ რისკავდნენ, ფაქტურა დაგვიწერეო, მე ფაქტურას საიდან დავუწერდი, არადა, უფაქტუროდ ისეთ ჯარიმას მიიღებდნენ, რისკად რომ არ უღირდათ. დახმარებასთან ერთად კანონმდებლობაც უნდა მოწესრიგდეს, რომ გლეხმა თავისი საქონელი უპრობლემოდ გაყოდოსო. ამ კაცს დარბაზი სრულად დაეთანხმა. აქვე გამოითქვა გულისტკივილი, რომ ნაყიდი ფქვილით გამომცხვარ პურს ხშირად წებო უჩნდება და არასასიამოვნო სუნი აქვსო. ძველებმა სინანულით გაიხსენეს თონეში გამომცხვარი დოლის პურის სუნი სოფელს რომ ბნედავდა. მერე სოფლის მეურნეობის ახალ, გერმანულ ტექნოლოგიებსა და ტექნიკაზეც ისაუბრეს. კარგია, მაგრამ ძვირი ჯდებაო, დაასკვნეს, მაგრამ ისიც იციან, ეს საბჭოთა ტექნიკა დიდხანს რომ აღარ შეჰყვება საქმეს, რადგან მათი სრულყოფილად გარემონტების და მოხმარების საშაულება აღარ არის და, დღეს თუ ხვალ, გავწვდებით თუ გავწყდებით, მაინც მოგვიწევს ახალ ტექნოლიგიებზე გადაწყობა. ამაში მთავრობამაც უნდა შეგვიწყოს ხელი, საკმარისი ტექნიკა შემოიტანოს, საწავავი დააიაფოს, დაპირებისამებრ გრძელვადიანი და დაბალპროცენტიანი სესხები გასცეს. სოფელი თუ არ გაძლიერდა, ხალხი სიღარიბიდან ვერ ამოვაო.

ოლეგ ნადირაშვილი ამ სოფლის ძირძველი მკვიდრი არ გახლავთ. ის 1953 წელს დაიბადა საინგილოში, დაბა კახში. 1982 წელს დაამთავრა თბილისის ზოოვეტინსტიტუტი ექიმი-ვეტერინარის სპეციალობით. ამავე წელს განაწილებით მოდის სოფელ ჯაფარიძეში და მუშაობას იწყებს კოლმეურნეობაში. პარარელურად მიწვეულია წნორის ზოოვეტტექნიკუმში პედაგოგად. 2007 წლამდე მუშაობდა სოფელ ჯაფარიძის ვეტუნბის გამგედ. ჰყავს მეუღლე, ორი ვაჟი და ერთი

(დასასრული გვ.7)

(მეექვსე გვერდიდან)

შვილიშვილი. კარგი სპეციალისტი, გონებაგახსნილი ადამიანი და მშრომელი კაცია ბატონი ოლეგი. მას მრავალი სერთიფიკატი აქვს, მათ შორის ერთი პარიზში მიღებულიც. ის შვედური პროექტის „მოლი“ მონაწილეა, რომელიც სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მცირე ბიზნესმენებს აერთიანებს.

- ჩვენთან სოფელი მემინდვრეობის, მევენახეობის და მეცხოველეობის გარეშე წარმოუდგენელია, მაგრამ აღარაფერი აღარ შემოგვრჩა სრულყოფილი. კოლმეურნეობები რომ დაიშალა, ზევიდან დირექტივებსა და ორგანიზებულობას მიჩვეული ხალხი ისე დაიბნა და დაიქსაქსა, როგორც ნაადრევად კრუხსმომცილებული წიწილები. გამეფდა უიმედობა, უმუშევრობა, გაუქმდა მრავალი სასიცოცხლოდ აუცილებელი ორგანიზაცია სოფლის მეურნეობის კუთხით. არავინ აკონტროლებს რას ვჭამთ, რას ვსვამთ. საქონელი გაიჩინა ხალხმა, მაგრამ სათანადოდ ვერ უვლის, ბრუცელიოზმა და სხვა დაავადებებმა მოიცვა როგორც ცხოველები, ასევე ადამიანებზეც გადავიდა. სოფელი ექიმისა და ვეტექიმის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის გარეშე არ იქნება დაცული. იყიდება გაუკონტროლებელი ხორცი, რძე, რძის პროდუქტები, ფქვილი, ძეხვეული, ბურღულეული და რა ვიცი, რაღა არა. მე ახლა შვედურ პროექტ „მოლში“ ვარ ჩართული. პროექტის მიხედვით ვეტერინარიის საკითხები ჩვენს სოფელში სამ ეტაპად მოგვარდება 2013 წლიდან 2015 წლამდე. I ეტაპზე გაიხსნება ვეტაფთიაქი, მერე - ვეტერინალური კლინიკა, მერე კი - ვეტლაბორატორია, რომელიც ჩვენი სოფლის გარდა, სხვა სოფლებსაც მოემსახურება. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ არასაკმარისი,-თქვა თავის გამოსვლაში ოლეგ ნადირაშვილმა.

წამოჭრილი საკითხების განხილვაში აქტიურად მონაწილეობდა გამგებლის რწმუნებული სოფელ სამრეკლოში ლელა ზვიადაური.

დამსწრეთ მიესალმა, გაზაფხულის მობრძანება, საქმიანობაში წარმატებები და ჯანმრთელობა უსურვა დედოფლისწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორმა ნინო ბახუტაშვილმა.

გაზაფხულს ორიოდე დღით დაასწრეს და მისი მოსვლა დამსწრე საზოგადოებას სიმღერებით და ლექსებით ახარეს მერი ბოსტოღანაშვილმა და ანნა ჩითინაშვილმა, მაკა და ლუკა ზურიკაშვილებმა, ნიკა ყოჩიაშვილმა.

სოფლის მეურნეობის მოწვეულმა სპეციალისტებმა დიდი მადლობა გადაუხადეს ბიბლიოთეკარს მაყვალა მილაძეს. მათ გულწრფელად აღნიშნეს, რომ ათეული წლებია, ისინი აღარავის მოუკითხავს, აღარავის დაუფასებია მათი თავდადებული შრომა; ისევ ვიგრძენით, რომ ჩვენი გამოცდილება ვიღაცას სჭირდება დღეს და დასჭირდება მომავალშიც, რამაც დიდი სტიმული მოგვცა შრომის და ხალისი-სიცოცხლისო, - თქვეს სამადლობელო სიტყვაში და ერთმანეთს დასცილდნენ იმ იმედით, რომ მომავალში უფრო ხშირად შეხვდებიან, ისაუბრებენ და რაიმე სასიკეთოს მოიფიქრებენ სოფლისთვის.

ნაირა გორაშვილი

მონატრება

გულო (ბალდანგულა) ბენაშვილი

კიდევ ერთი საყვარელი ადამიანი დავკარგე, კიდევ ერთხელ უმწეო ვიდექი მის სარეცელთან და ვერაფრით ვშველოდი. დავკარგე ძვირფასი მამიდა, რომელსაც არაერთი ადამიანური ღირსება ჰქონდა, მათ შორის სიყვარულის დიდი უნარი. მისი სითბო და მზრუნველობა მთელ სანათესაოს ჰყოფნიდა. ერუდირებული, განათლებული პიროვნება იყო, ჩუმი, წყნარი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ შეუმჩნეველი არ დაგრჩებოდათ, როგორც კი საუბარს დაიწყებდა. ათეული წლები ემსახურა მომავალი თაობის აღზრდას ჯერ გამარჯვების, შემდეგ კი ჯაფარიძის საშუალო სკოლებში. ბიოლოგიას ასწავლიდა და თავის საგანთან ერთად ბავშვებს მხატვრული ლიტერატურის და წიგნის სიყვარულს უნერგავდა. წავიდა ამ ქვეყნიდან კიდევ ერთი ინტელიგენტი ადამიანი, რომელმაც ნათელი კვალი დატოვა თავის თანამედროვეთა ხსოვნაში. მის ხსოვნას კი დავიწყება არ უწერია-ის ემახსოვრებათ თავის აღზრდილებს, კოლეგებს, მეზობლებს და ახლობლებს, რომლებიც ყოველ გაზაფხულზე მივლენ მის საფლავთან, მის საყვარელ ყვავილებს მიუტანენ, წმინდა სანთელს დაუნთებენ და უფალს შეავედრებენ მის ფაქიზ სულს.

ახლობლების სახელით ძმისშვილი
ბაბულია ბენაშვილი

მონატრება

თალიკო ქამაშიძე-ზოროღლიანი

ამბობენ დრო მკურნალიაო, მაგრამ ამ დრომ ვერაფერი დაიკლო იმ დიდ ტკივილს, რომელიც შენი წასვლით დატოვე, ჩემო თალიკო, ტკივილს რომელიც ვერ მოვიშუშეთ, ისე არ გავა ერთი დღე, შენი გულდამძიმებული მეუღლე არ მოვიდეს შენს საფლავთან და სანთელი არ აგინთოს. შენი დათუნა კი სულ მაღლა იყურება, დედიკო ზეცაშიაო და იმის მოლოდინშია, თუ როდის ჩამოვა, როდის მოეფერება. შენი დაჩიკუნა, რომლის ამქვეყნად მოვლინებასაც შეეწირა შენი ახალგაზრდა სიცოცხლე და რომელსაც შენი სურნელი, მოფერება, ალერსი დააკლდა, უკვე 1 წლისაა და დადის.

ჩემო თალიკო, ჩემო ტკივილო. 4 მარტს შენი დაბადების დღეა. რატომ დაიბადე ასე მოკლე ბედისწერისა, შენ სიცოცხლით გაუმაძღარო შვილო, ჩემო ცქრიალა პატარძალო, რატომ დამიობლე შვილიშვილები, რატომ დამიტოვე ჩემი შვილი თვალცრემლიანი, სულ იმას იძახოდი, ერთი დათოს ტიკტიკს მომასწროსო, ნუთუ გული რამეს გეუმნებოდა, ჩემო მოურჩენელო ტკივილო. ნათელში იყოს შენი სული, დაე, ჩვენმა ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა სამოთხისკენ.

გულმოკლული მეუღლე გია, შვილები დათო და დაჩი ზოროღლიანები დედამთილი ანჟელა

გივი ჭუჭულაშვილი

ჩემო ძმაო, გივი, ძალიან გვენატრები, ენატრები შენს შვილებს- მაიას და ხათუნას, ძმისშვილებს - ზაზას და შორენას, ყველა ახლობლებს და მეგობრებს.

8 მარტს სამი წელი გახდება, რაც შენ ჩვენს გვერდით აღარა ხარ. მეუღლე იზა ძალზე ადრე გამოგეცალა ხელიდან. შენს შვილებს მზრუნველობა შენ თვითონ გაუწიე, შეასრულე როგორც მამობის, ისე დედობის როლი.

ნაადრევი იყო შენი სიკვდილი, შენ იყავი ყველასათვის ერთგული, მეგობრული, ნიჭიერი ვეტერინარი ექიმი. რამდენი ნატვრა დაგრჩა განუხორციელებელი, შენს სახელს დავიწყება არ უწერია, უსაზღვრო სიყვარულით და სიკეთით განვლილ შენს მოკლე სიცოცხლეს უკვალოდ არ ჩაუვლია.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული. მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური დედოფლისწყაროს მიწა. გვენატრები ყველას.

შენი ძმა ივერი ჭუჭულაშვილი

კახა ყველაშვილი

ჩემო შვილო, მოვიდა ჩემთვის დამწვარი და განადგურებული 2 წლისთავი- 5 მარტი. 2 წელი ხდება შვილო, რაც შენთვის არც თვალი მომიკრავს და არც ხმა გამიგონია. ბევრს გეძებ, გენაცვალოს შენი უბედური დედა, მაგრმ ვერსად გპოულობ. კახა, მამაშენი მონახე რომ გულში ჩაგიკრას და გაგათბოს.

კახა, შენი თიკო და რატი მოიზარდნენ და ბევრი სჭირდებათ. მოხედე შენს შვილებს, აკლიათ შენი სითბო და სიყვარული.

შვილო, შენი უფროსები დღემდე დიდ დახმარებას უწევენ შენს ოჯახს, შენს შვილებს. დალოცვილები ამყოფოს ღმერთმა შენი ამდენი დაფასებისთვის. ძალიან მოწყენილები ვართ უშენოდ შენი ცოლშვილი, დები და ძმა, შენი უბედური დედა, რომელსაც ჯერ ცრემლი არ შეშრობია თვალზე. მუდამ გვემახსოვრები.

შენი უბედური დედა, ცოლ-შვილი, დები და ძმა.

გამოსათხოვარი

რუსუდან წერეთელი-ცქიტიშვილი

დედოფლისწყაროს ინტელიგენციას კიდევ ერთი კეთილშობილი ქალბატონი გამოაკლდა. 28 თებერვალს შვილებმა, შვილიშვილებმა, მეგობარ-მეზობლებმა, ახლობლებმა უკანასნელ გზაზე გააცილეს რუსუდან წერეთელი-ცქიტიშვილი.

ქალბატონი რუსუდანი დაიბადა 1932 წელს ლაგოდეხის რაიონის სოფელ მსალგორში თებროლე ბიწაძის და გრიშა წერეთლის მრავალშვილიან ოჯახში–ექვსი დისა და ორი ძმის გარემოცვაში. ალბათ ამიტომაც იყო ასეთი შრომისმოყვარე, ყურადღებიანი და თბილი ადამიანი, რომელიც სხვის ლხინსა და მწუხარებას საკუთარივით განიცდიდა, მხარში ედგა და თანაუგრძნობდა.

სპეციალობით აგრო ქიმიკოსი იყო. მისი შრომითი ბიოგრაფია ელდრის საბჭოთა მეურნეობაში მეცნიერ-თანამშრომლობით დაიწყო, სადაც ნუშის ბაღებში მეცნიერულ დაკვირვებას ხელმძღვანელობდა. შემდეგ თავისი ბედი თანაკურსელ ფირან ცქიტიშვილს დაუკავშირა და სამუშაოდ წითელწყაროს პურკომბინატის სარეალიზაციო ბაზაში გადმოვიდა ქიმიკოს-ლაბორანტად, სადაც პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა. სამი წლის წინ გარდაცვლილ მეუღლეს მისტიროდა, რომელთან ერთადაც შეხმატკბილებულად გაზარდა ორი საუკეთესო შვილი. მიაღებინა მათ სათანადო განათლება, დააოჯახა, გაუზარდა შვილები და ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან. ის სამუდამოდ დარჩება შვილებისა და შვილიშვილების გულში როგორც კარგი დედა, მზრუნველი და თბილი ბებო, კარგი მეზობელი და მეგობარი. ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს და განისვენოს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

ოჯახი, მეგობრები და ახლობლები.

შვილები: ლალი აბაშიძე-ცქიტიშვილი, ნუკრი ცქიტიშვილი, რძალი მარინა ბერიაშვილი, სიძე თამაზ აბაშიძე, შვილიშვილები ხათუნა და ირმა აბაშიძეები, ნიკა და რუსუდან ცქიტიშვილები იუწყებიან

რუსუდან წერეთელ-ცქიტიშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 28 თებერვალს ქ. დედოფლისწყაროში

კლარა ოზაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება უახლოესი მეგობრის

რუსუდან წერეთელის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს ნუკრი, მარინა, ნიკა და რუსუდან ცქიტიშვილებს, ლალი,თამაზ, ხათუნა და ირმა აბაძიძეებს დედისა და ბებიის გარდაცვალების გამო.

ქალაქ დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ადმინისტრაცია თანაგრძნობას უცხადებს ლალი აბაშიძეს დედის

რუსუდან წერეთელის

გარდაცვალების გამო.

ქ.დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის XI-ბ კლასის მოსწავლეები და მშობლები თანაგრძნობას უცხადებენ კლასის ხელმძღვანელს ლალი აბაშიძეს დედის

რუსუდან წერეთელის

გარდაცვალების გამო.

შვილები: ნოდარი, ნონა, რძალი ნანა ხატიაშვილი, სიძე ზურაბ ალადაშვილი, შვილიშვილები: გიორგი, ზურიკო, ლევანი, მარი, ძმა იასონი, მაზლები: გოგია, ვალიკო, რძლები, ძმისშვილები, მაზლისშვილები ოჯახებით იუწყებიან

ამალია ჯანაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4 მარტს, 16 საათზე, დაკრძალვა 5 მარტს 13 საათზე, სოფელ ზემო მაჩხაანში.

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნიაზი ჯანაშვილს ბიცოლას

ამალია ჯანაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ახლობლებს

ქალაქ დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის პედკოლექტივი და ადმინისტრაცია იუწყება

მერი (დოდო) მათიაშვილის

გარდაცვალების გამო.

ვანო, ეთერი, ინგა, ირმა შიოლაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ლალი, თამაზ, ხათუნა და ირმა აბაშიძეებს

რუსუდან წერეთელ-ცქიტიშვილის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეგობრები: ნელი შოშიაშვილი, ოლიკო კიკილაშვილი, მზია ხატიაშვილი, მზია ტარყაშვილი, ჯულეტა წივილაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ლალი აბაშიძე - ცქიტიშვილს და თამაზ აბაშიძეს დედის

რუსუდან წერეთელ-ცქიტიშვილის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ნანა პოპიაშვილი, შვილები: გოჩა, ეთერი; რძალი ქეთინო პოლიკაშვილი, სიძე გივი ხოსროშვილი, შვილიშვილები: ნანი, ნინი ათანელიშვილები, ნოკოლოზი, ანა, საბა ხოსროშვილები იუწყებიან

გივი ათანელიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი შაბათს, 2 მარტს, 4 საათზე, დაკრძალვა კვირას, 3მარტს, 2საათზე, ქალაქ დედოფლისწყაროში, ალადაშვილის ქ. N34.

ქალაქ დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლის 1989 წლის კურსდამთავრებულები თანაგრძნობას უცხადებენ გოჩა ათანელიშვილს მამის

გივი ათანელიშვილის

გარდაცვალების გამო.

ნაირა გორაშვილი და გოგი პოპიაშვილი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებენ ნანა პოპიაშვილის ოჯახს

გივი ათანელიშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის და ხალხთა მეგობრობის მუზეუმის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ცარო მარტიაშვილს დედის

ვაროს

გარდაცვალების გამო.

ულოცავენ!

მაკა ზურაშვილს!

მაკა მასწავლებელო, ასე გეძახით მთელი სოფელი უკვე 25 წელია. სწორედ 1 მარტს შესრულდა 25 წელი, რაც სოფელ სამრეკლოს საბავშვო ბაღს ჩაუდექით სათავეში და დღემდე ერთგულად და საქმის ცოდნით უძღვებით ამ მეტად რთულ და საპასუხისმგებლო საქმეს. სოფლის ახალგაზრდობის ნახევარზე მეტი თქვენს ხელშია გავლილი და ეს თქვენ დამსახურებულად გეამაყებათ. გილოცავთ ამ საიუბილეო თარიღს და ქალთა დღესასწაულებს - 3 მარტს და 8 მარტს. გვიან, მაგრამ ღმერთმა მაინც გაგხადათ დედობის ღირსი, რაც თქვენთან ერთად ჩვენც ძალიან გვიხარია. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯამრთელობას ჩვენს საიმედოდ. თქვენ ისეთი ენერგიული და საქმის ენთუზიასტი ხართ, კიდევ მრავალ ღირსეულ თაობას აღუზრდით ქვეყანას. გფარავდეთ ღმერთი, რომელიც ასე გწამთ!

პატივისცემით,

სამრეკლოს საბავშვო ბაღის თანამშრომლები.

ხატია ხარაულს!

ჩვენო საყვარელო ხატია, შენ არა მარტო ფიზიკურად ხარ მშვენიერი, არამედ შენი შინაგანი ბუნებითა და გაზრდილობითაც-გაწონასწორებული, მშვიდი, თავაზიანი, მაღალი პროფესიონალიზმით და მოვალეობის გრძნობით ემსახურები ნებისმიერ კლიენტს, ვინც კი ტაო-პრივატბანკის დედოფლისწყაროს ფილიალის მომსახურებით სარგებლობს. შენი თბილი ღიმილი ამ გაჭირვებულ ხალხს იმედით გვავსებს. ჩვენც გვინდა, ასეთი სითბოთი და სიყვარულით მოგილოცოთ მარტის დღესასწაულები. იყავი ბედნიერი შენს პატარა ოჯახთან ერთად, იხარე და იდღეგრძელე, შენი იმედი ნუ მოგვიშალოს, ღმერთი გფარავდეს.

პატივისცემით,

მზია, ჟუჟუნა, ნათელა, თამაზი და ეთერი.

კახა კოტაშვილს!

გილოცავთ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურმეცნიერებათა ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრებას და პოლიტიკის მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მონიჭებას.

გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს ცხოვრებაში.
კიდევ მრავალი წარმატება მოგველოცოს!

ბადრი და მაკა

ინგუბატორი დედოფლისწყაროში

წარმოებს კვერცხის მიღება და ჩაწყობა ყოველდღიურად!

მიიღება წინასწარი შეკვეთები წიწილებზე.

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, მ. კოსტავას 14.

კულტურის სახლის უკან, შესასვლელი პოლიციის ან ბაზრის მხრიდან.

ტელ: 579 330 741; 557 238 899; 790 408 215;

თამაზ მამულაშვილი

აუქციონი

სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლა აცხადებს პიროგით აუქციონს სკოლის შენოგის

ა) 70 კვ.მ ფართის იჯარით გაცემაზე. მიზანი: კინგბოქსის წრის ფუნქციონირება. ფართის წლიური ღირებულება 500 ლარი. იჯარის ვადა 2 წელი.

პირობები: ბიჯი-ქირის 5%.

სანიტარულ-ჰიგიენური, სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვა,მიზნის შესაბამისი საქმიანობის წარმოება. იჯარით არსებული ქონების გაფრთხილება. გადახდის ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

პირობით აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

1. *განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ.*
2. *„ბ“წლიური გადასახადის —10%*
3. *მონაწილეობის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი მოწმობის ასლი*
4. *ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მყიდველი მოქმედებს სხვა სახელით.*

აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, ან უცხო ქვეყნის იურიდიულ და ფიზიკურ პირს.

განცხადება მიიღება გამოცხადებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, შაბათ-კვირის გარდა. პირობითი აუქციონი ჩატარდება 30-ე კალენდარულ დღეს.

განცხადების მიღება იწარმოებს მისამართზე:

არხილოსკალოს საჯარო სკოლა.

577 24 30 22, 593 68 80 02

სკოლა მისთვის მეორე ოჯახია

იმ უამრავ და ლამაზ სიტყვებს შორის ,რომლებიც ქართულ ენაში მოიპოვება, სიტყვა „მასწავლებელი“ გამორჩეულად ძვირფასი და ახლობელია ყველა ადამიანისთვის. ამის დასტურია, რომ სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის პედკოლეგტივი ქალბატონ ლალი მენთეშაშვილის ხელმძღვანელობით არ იშურებს ენერგიას და გამოცდილებას მოსწავლთა თანამედროვე მეთოდებით სწავლა-აღზრდისთვის, რათა ამ სკოლის კურსდამთავრებულებმა დიდი სითბოთი და სიყვარულით გაიხსენონ ეს წლები და ჩამოყალიბდნენ ნამდვილ მოქალაქეებად.

ქ-ნი ლალი 2007 წლიდან სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის დირექტორია, სადაც ქალბატონ ლალის დიდი შრომა და ენერგია დასჭირდა თანამედროვე სკოლის ჩამოყალიბებისთვის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმების შესაბამისად.

ლალი მენთეშაშვილი ქართული ენისა და ლიტერატურის საუკეთესო სპეციალისტია. მისი გაკვეთილები ყოველთვის ტარდება თანამედროვე მოთხოვნის დონეზე და გამოირჩევა პედაგოგიური ალღოთი და მიდგომით.

ქ-ნ ლალის ყოველდღე სკოლაში შემოაქვს სიახლის მუხტი, ის დადებითი ენერგია, რომელიც ჩვენს პედაგოგიურ კოლექტივს მუშაობისათვის გვესაჭიროება. იგი ყოველთვის სიახლეების ძიებაშია.

ქ-ნი ლალი თავის აღსაზრდელებს სისტემატურად უნერგავს ქართული ენისა და ლიტერატურის სიყვარულს, სამშობლოს სიყვარულს, პატივისცემას უფროსების მიმართ, ტოლერანტობას. იგი უაღრესად კეთილი, ნიჭიერი და ჰუმანური ადამიანია.

ჩვენი დირექტორისათვის სკოლა მეორე ოჯახია. ვუყურებ და გაოცებული ვრჩები მისი ენერგიული მუშაობით. ლალი საკუთარ ოჯახზე მაღლა აყენებს სკოლის ინტერესებს. ამიტომაც არის, რომ ყოველდღე საღამოს 5-6 საათამდე მუშაობს სკოლაში სასკოლო საქმეებს აგვარებს. მას გათავისებული აქვს თითოეულ ჩვენგანის ტკივილი და სიხარული და გვერდში გვიდგას ყოველთვის.

ლალი მასწავლებელი უყვართ როგორც მოსწავლეებს ისე პედაგოგიურ კოლექტივს, მშობლებს, საზოგადოებას.

სულ რამდენიმე დღეში გაზაფხული შემობრძანდება. გვინდა მოგილოცოთ დედის დღე, ქალთა დღე 8 მარტი, გაზაფხულის მობრძანება და ყოველივე საუკეთესო გისურვოთ თქვენ და თქვენს ოჯახს.

გაზაფხულივით მარად ასეთი ლამაზი და ახალგაზრდა ქალბატონი ყოფილიყავით!

ღმერთმა დაგლოცოთ!

ნელი მაძღარაშვილი

სოფ. ხორნაბუჯის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარი

ქვემოქედელი ბექა ნათათრალიშვილი საქართველოს ჩემპიონია

სპორტი

საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკ ძიუდოისტთა შორის წარმატებული აღმოჩნდა ქვემო ქედელი ბექა ნათათრალიშვილისათვის. ბექა საქართველოს ჩემპიონი გახდა და ამ გამარჯვებით ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების საგზური მოიპოვა.

„ჩემს შესაძლებლობებში დარწმუნებული ვარ. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის,რომ ივნისში ევროპის პირველობიდან მედალი ჩამოვიტანო.იმედები,პირველ რიგში,საკუთარ თავს უნდა გავუმართლო და მერე იმ ადამიანებს,ვისაც ჩემი სჯერა“–ამბობს ბექა ნათათრალიშვილი.

10 წლის იყო,როცა სოფელ არხილოსკალოს ძიუდოს სკოლაში დაიწყო ვარჯიში.დიდი სპორტისაკენ გზა ძიუდოს მწვრთნელმა კახა წიკლაურმა გაუკვალა.პირველი გამარჯვებებიც აქედან დაიწყო.ახლა 16 წლისაა და თბილისის სპორტკომპლექს ,,შევარდენში“ ვარჯიშობს.მისი მწვრთნელი ლექსო ღვინიაშვილია.ბექა ამბობს,რომ ორივე პედაგოგში ძალიან გაუმართლა,რამაც საბოლოოდ მის წარმატებულ კარიერას შეუწყო ხელი.

ბექა ნათათრალიშვილმა პირველი დიდი წარმატება შარშან მოიპოვა.ის ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატის მეორე ადგილის მფლობელი გახდა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორმა ნინო ბახუტაშვილმა ცენტრის სახელით საამაყო ფალავანს სამახსოვრო საჩუქარი გადასცა და 2013 წლის ევროპის პირველობაზე გამარჯვება უსურვა.

გაიღიმეთ!

პატარა ბავშვი ეუბნება დედას:

- დედა, შეხედე ამ კაცს თავზე თმა არ აქვს.

- ასე ხმამაღლა ნუ ლაპარაკობ თორემ გაიგონებს.

- რა, არ იცის ჯერ?

* * *

მიხო მივა სამსახურში.

- რაზე მოხვედი, დღეს ხომ შენი სიდედრის გასვენებაა?! - გაუწყრა უფროსი.

მიხომ კი მშვიდად უპასუხა:

- ჯერ საქმე, მერე სიამოვნება.

მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „შირაქი“ იწყებს „ხსოვნის წიგნი“-ს გამოცემას, სადაც შეგიძლიათ თქვენი გარდაცვლილი წევრისა თუ ოჯახის ახლობლის მოხსენიება.

„ხსოვნის წიგნში“ გარდაცვლილის ფოტოსურათისა და შესაბამისი ტექსტის განთავსების მსურველებმა გთხოვთ მოაკითხოთ გაზეთ „შირაქის“ რედაქციას. ფასი ხელმისაწვდომია.

ამინდი

დედოფლისწყარო

შაბათი 02. 03		კვირა 03. 03		ორშაბათი 04. 03		სამშაბათი 05. 03		ოთხშაბათი 06. 03		ხუთშაბათი 07. 03		პარასკევი 08. 03	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
8 °	3 °	10 °	4 °	3 °	2 °	4 °	2 °	0 °	-4 °	-3 °	-4 °	0 °	-2 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); მიხეილ მლეგრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K